# საერთო გაზეთი

№23 (615)
ოთხშაბათი 23 ივნისი, 2021წ.
ფასი 1.50 ლ.

რედაქციის ტექნიკურ გადახალისებასთან დაკავშირებით „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერი გამოვა 7 ივლისს.


## წერილი იმედსა და ოცნებაზე



### საქართველო – კავკასიის „ისრაელი“

● „ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ფუნქცია დაუბრუნა, დასავლეთს კიდევ – ავტორიტეტი“

● საქართველოს და ქართველი ხალხის გადაკეთების მცდელობაც ისეთივე დანაშაულია, როგორც იუნესკოს მიერ დაცული რომელიმე მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ძეგლის გადაკეთება, რადგან საქართველოც, უნიკალური ძეგლია, ძეგლი-სახელმწიფო.

● საქართველო, არა მარტო, უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, არამედ ის თვითონ არის ცივილიზაციათა გზაჯვარედინი, ცივილიზაციათა შემკრები საერთო სახლი, მინი-ევროკავშირი, რომელიც საუკუნეებით ადრე არსებობდა, სანამ ევროპელებს ევროკავშირის დაფუძნება მოაფიქრდებოდათ.

## უსამშობლობის ტრაგედია



**კობა არაბული:**

### ერის მორალს მწერლობა აყალიბებს

ომში ვართ დღეს ჩვენ, სახიფათო და ბედისწერულ ომში. მაგრამ ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს ბედისწერა მრისხანე, აჯანყებული სიტყვის მეოხებით. მხოლოდ სიტყვა რჩება იარაღაყრილი ერის მახვილად და ფარად...



**სოსო ცინცაძე:**

### ბაიდენი და პუტინი ისეთ ღრმა უფსკრულს მიადგნენ, ორივეს შეეშინდა და უკან დაიხიეს

არ გვეუბნებიან, მაგრამ გვახვედრებენ: ნატოს წევრები მაშინ გახდებით, როცა რუსეთი იტყვის: ჯანდაბას თქვენი თავი, გაწევრიანდითო



**გელა ზედელაშვილი:**

### დიდი დაღრეცილობა ბესიკ ხარანაულის პოეზიაში

გინდათ, ზუსტად გადაგითარგმნოთ, რა აწუხებს ბებერ პოეტს?
მას შემდეგ, რაც მისი კუმირი სააკაშვილი საქართველოდან გადაიხვეწა, ძალიან ცუდ ხასიათზე დადგა და სულ ეჩვენება, რომ მისი ხალხი იავარქმნილია



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:** თუ გვინდა რომ საქართველო კვლავ იქცეს კავკასიის ლიდერ სახელმწიფოდ, ის 15 პარტია, რომელმაც ლგბტ პრაიდს მხარი დაუჭირა, პოლიტიკას ახლოს არ უნდა გავაკაროთ

## უცხონი და სახიფათონი



### მედროვეთა დრო, ანუ რატომ გვაქვს ქართველებს ქამკარი არეული?

## ალფრედ დიდი - მაგი, ჯადოქარი, წინასწარმეტყველი

**„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# წერილი იმედსა და ოცნებაზე

## საქართველო – კავკასიის „ისრაელი“



● **„ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ფუნქცია დაუბრუნა, დასავლეთს კიდევ – ავტორიტეტი“**

● **საქართველოს და ქართველი ხალხის გადაკეთების მცდელობაც ისეთივე დანაშაულია, როგორც იუნესკოს მიერ დაცული რომელიმე მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ძეგლის გადაკეთება, რადგან საქართველოც, უნიკალური ძეგლია, ძეგლი-სახელმწიფო.**

● **საქართველო, არა მარტო, უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, არამედ ის თვითონ არის ცივილიზაციათა გზაჯვარედინი, ცივილიზაციათა შემკრები საერთო სახლი, მინი-ევროკავშირი, რომელიც საუკუნეებით ადრე არსებობდა, სანამ ევროპელებს ევროკავშირის დაფუძნება მოაფიქრდებოდათ.**

**ვახტანგ ხარჩილავა:**

**იმედი** დიდებული რამ არის.

იმედმა, შეიძლება, მომაკვდავი სიცოცხლისკენ შემოატრიალოს, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული, დაცემული და დანებებული ფეხზე წამოაყენოს და ახალი ენერგიით და მხნეობით აღავსოს.

საქართველოს აქტიური მონაწილეობით და შუამავლობით სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მიღწეულმა შეთანხმებამ და იმ როლის გააზრებამ, რაც ამ ურთულეს პროცესში ჩვენმა ქვეყანამ ითამაშა, არასტაბილურობით და მუდმივი რყევებით დაღლილ ქართველ ხალხს იმედი მისცა, რომ საქართველო კვლავ იბრუნებს ლიდერის ფუნქციას კავკასიის რეგიონში, რამაც შეიძლება ქართული სახელმწიფოს წინაშე წინსვლისა და განვითარების სრულიად ახალი პერსპექტივები გადაშალოს.

სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მიღწეულ ამ შეთანხმებაში, ცხადია, განუზომლად დიდია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურება, რომელმაც, ერთი პოლიტოლოგის ფრთიან გამოთქმას თუ დავესესხებით, საქართველოს ფუნქცია







დაუბრუნა, დასავლეთს კიდევ — ავტორიტეტი.

მოკლედ რომ ვთქვათ, **იმედი დაბრუნდა საქართველოში,** თუმცა ამ იმედის რეალურ სახეს სხვადასხვანაირად ხედავენ პოლიტიკური წრეები თუ რიგითი მოქალაქეები.

ზოგისთვის ეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი შანსია, ზოგისთვის — მთელ რეგიონში პოლიტიკური ვექტორების გადაადგილების მაუწყებელი ნიშანი, ზოგიერთი კი უფრო შორს მიდის და იმასაც არ გამორიცხავს, რომ, შესაძლებელია, რეგიონში კვლავ გაჩნდეს ამიერკავკასიის ყოფილი ფედერაციის ახალი, მოდერნიზებული წარმონაქმნი.

თემა, როგორც იტყვიან, მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ყველა ისე ოცნებობს, რამდენსაც მისი ფანტაზია გასწვდება.

სხვათა შორის, ოცნება და იმედი ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან და ერთი მეორის გარეშე არ არსებობს.

მე, პირადად, სხვა იმედი და სხვა ოცნება გამიჩნდა, ალიევსა და პაშინიანს შუა ჩამჯდარ ღარიბაშვილს და იქვე ახლოს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს — ფილიპ კრიკელს რომ ვხედავდი.

ეს წერილი, რომელსაც ახლა გთავაზობთ, ჩემს იმედსა და ჩემს ოცნებაზე დაწერილი წერილია, რომელსაც, ცხადია, არც სერიოზული ანალიზის, არც ამ მოვლენების ახალი რაკურსით წარმოჩენის პრეტენზია აქვს, ის, უბრალოდ, ერთი ჩვეულებრივი ქართველი კაცის წერილია იმედსა და ოცნებაზე.

**იმედით დავიწყებ:**

იმის იმედი ნაკლებად მაქვს, რომ ქართველები ერთბაშად შეიცვლიან ზნეს და ხასიათს, ყველანი ერთ მუშტად შეიკვრებიან და თვითონ მოუვლიან საკუთარ ქვეყანას, თუმცა ბოლოდროინდელმა ამბებმა იმედი გამიჩინა, რომ ჩვენმა მეგობრებმა და პარტნიორებმა დასავლეთიდან, კონკრეტულად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შეიძლება ახალი თვალით შეხედონ საქართველოს, სხვა სასწორით აწონ-დაწონონ და სხვა საზომით გაზომონ მისი პოტენციალი, მისი უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობა და ის ფუნქცია და ის მისია დაუბრუნონ, რაც მას განგებამ მიანიჭა.

ეს რომ მოხდეს, პირველ რიგში, დასავლეთმა უნდა შეცვალოს თავისი დამოკიდებულება საქართველოსადმი და ეს დამოკიდებულება სრულიად ახალ პრინციპებზე და ურთიერთობის სხვა ფორმებზე უნდა ააგოს.

დასამალი არ არის — დასავლეთი საქართველოს დღეს უყურებს, როგორც სტრატეგიულად საინტერესო და ხელსაყრელ ტერიტორიას, როგორც პლაცდარმს, სადაც შეიძლება ეფექტურად განალაგო დასავლეთის მთავარი ოპონენტის — რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ტექნიკა და ამით დიდი პრობლემები შეუქმნა რუსეთს.

ჩვენ ერთი მონაკვეთი, ერთი უბანი ვართ იმ ე.წ. ანაკონდას რკალისა, რომლის შეკვრასაც დასავლეთი რუსეთის გარშემო ცდილობს. სწორედ ამით არის გამოწვეული ის განსაკუთრებული აგრესია, რომელსაც რუსეთი საქართველოს მიმართ იჩენს.

რუსეთი ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, ეს რკალი საქართველოს მონაკვეთზე არ შეიკრას, რადგან ეს შეიძლება მისი სახელმწიფოსთვის საბედისწერო ფინალით დამთავრდეს.

ყველაფერს აქვს თავისი ისტორია, თავისი წარსული, თავისი წინაპირობა.

საქართველოს დღევანდელ მდგომარეობასაც აქვს თავისი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები და ეს მიზეზები 30 წლის წინანდელ მოვლენებში, ანუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გამოცხადების პერიოდში უნდა ვეძებოთ, როცა საქართველო, ფაქტობრივად, ღიად დაუპირისპირდა რუსეთს და მთავარ ორიენტირად, ასევე ღიად და დაუფარავად, დასავლეთი გამოაცხადა.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებით ეიფორიასა და საყოველთაო ეროვნულ აღ-



ტყინებაში ჩავარდნილმა საქართველომ ვერ განსაზღვრა, რა საპასუხო ნაბიჯები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის მიერ მტრად გამოცხადებული რუსეთის მხრიდან საქართველოს ამ თამამ და უკომპრომისო გადაწყვეტილებას.

სადავო და საკამათო საკითხია, რამდენად იყო სწორი დამოუკიდებლობის გზაზე ახლადფეხშედგმული, სუსტი და, ფაქტობრივად, არაფრისმქონე საქართველოს მიერ რუსეთთან ღია დაპირისპირება, მთავარი აქცენტების მასზე გადატანა და მისგან მთავარი მტრის ხატის შექმნის მცდელობა.

რატომ იყო ამის გაკეთება აუცილებელი, რა უალტერნატივო საჭიროება არსებობდა იმისა, რომ რუსეთს დავჯახებოდით, მით უმეტეს, რომ რუსეთი, ისევე, როგორც საქართველო და სხვა რესპუბლიკები, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, თვითონაც დამოუკიდებლობის გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა და ახალი ყაიდის ცხოვრებისთვის ალღოს აღებას ცდილობდა.

საერთოდ, რამდენად იყო შესაძლებელი, ამ, ახლადდამოუკიდებლობამიღებულ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის და თანამშრომლობის ახალი ფორმები ჩამოყალიბებულიყო?

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი შანსი არსებობდა, თუმცა, ეს შანსი რომ რეალობად ქცეულიყო, ამისთვის საჭირო იყო გონივრული, წინდახედული, პრაგმატული პოლიტიკა და არა ურაპატრიოტული პათეტიკა, რომლითაც, თუ ვინმეს ვაზიანებდით, პირველყოვლისა, ვაზიანებდით საკუთარ თავს.

შემდეგ რაც მოხდა, ყველას კარგად მოეხსენება — რუსეთმა ხმამაღლა გაცხადებულ ჩვენს რომანტიკულ ოცნებებს, ჩვენს გმირულ-ჰეროიკული ხასიათის რიტორიკას, ჩვენს თეატრალიზებულ პერფორმანსებს, მკაცრი და რეალისტური პასუხი გასცა და ჩვენი სწრაფვა ნატოსკენ თუ ევროკავშირისკენ გაურკვეველი ვადით გადაავადა.

მოდით, დროებით შევწყვიტოთ საუბარი ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ და საქართველოსთან დასავლეთის შესაძლო დამოკიდებულების შესაძლო ტრანსფორმაციის თემას დავუბრუნდეთ.

იმედი მაქვს, ჩემი იმედი გამართლდება და დასავლეთი იმ გზას დაადგება, რომელიც კავკასიის რეგიონში საქართველოს გაძლიერებას და ამ რეგიონში ქართული სახელმწიფოს ლიდერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.

**კავკასიის რეგიონში საქართველოს კავკასიის „ისრაელად“ გადაქცევის პროექტი (თუ ასეთი პროექტი მართლაც არსებობს), ეს არის საუკეთესო, ყველაზე ოპტიმალური პროექტი იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებმაც კავკასიაში მოიყარეს თავი და რომლებიც გარკვეულ უარყოფით ზეგავლენას ახდენენ მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.**

თავის დროზე რუსეთი ვერაფრით ვერ მიხვდა, რომ მისთვის ეკონომიკურად ძლიერი, წელში გამართული საქართველო კი არა, სუსტი, უღონო, უძლური საქართველო იყო ხიფათის შემცველი, რადგან ასეთი საქართველო მფარველის, პატრონის ძიებაში იქნებოდა მუდამ და რითაც შეეძლო და როგორც შეეძლო, აუცილებლად

დაუპირისპირდებოდა რუსეთის ინტერესებს, რომ ახალი პატრონის ნდობა და საიყვარული მოეპოვებინა.

ვერ ვიტყვით, რომ დასავლეთს არ ესმის, რაც უფრო წარმატებული იქნება მისი პარტნიორი ქვეყანა — საქართველო, მით უფრო კარგი მისთვის, ვერც იმას ვიტყვით, რომ დასავლეთი არ ეხმარება საქართველოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის საკმარისი დახმარება, ან ეს დახმარება სწორი ფორმით არ არის მოწოდებული, რადგან საქართველოს ბევრი არაფერი ეტყობა იმისა, რომ მას ეხმარებიან და გვერდით უდგანან.

დღეს ის ღარიბ ქვეყნად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველანაირი რესურსი აქვს იმისა, რომ მდიდარი ქვეყანა იყოს.

იმის მიხედვით, როგორ გამოიყურება დღეს საქართველო, არა მარტო საქართველოზე მსჯელობენ, არამედ მსჯელობენ მის პარტნიორებზე და მეგობრებზე.

ამ კუთხით თუ შევხედავთ სიტუაციას, საქართველოს პარტნიორებსა და მეგობრებს თავმოსაწონებელი ბევრი არაფერი აქვთ.

ქართველ ხალხს კარგად ახსოვს, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებიდან საქართველო ეკონომიკურადაც და ინტელექტუალურადაც ყველაზე მდიდარი ქვეყანა იყო. დასავლეთთან მეგობრობისა და პარტნიორობის შემდეგ ასე კატასტროფულად რამ გაგვაღარიბა და ან ასე რამ დაგვაჩლუნგა, რომ ოცდაათი წელია, დემოკრატიას ვსწავლობთ და მაინც ვერ ვისწავლეთ.



აგერ, ახლახან, საშემოდგომო გამოგვყვა და ერთხელ ჩაბარებული საგანი ოქტომბერში ხელახლა უნდა ჩავაბაროთ.

●

საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა მთელ კავკასიში, სამხრეთშიც და ჩრდილოეთშიც, რომელიც აშშ-ისა და ევროკავშირის პარტნიორია, რომელიც დასავლეთის საყრდენი და ფორპოსტია და ასეთი ქვეყანა რატომ უნდა იყოს იმ დღეში, რომელშიც ვართ?

საქართველოში დღესაც მრავლად არიან ე.წ. პრორუსული ძალები, რომელთა მომძლავრება სულაც არ არის მხოლოდ რუსეთის დამსახურება.

მათ არსებობაში ლომის წილი დასავლეთსაც უდევს, რომელმაც ბევრი მიმართულებით იმედები გაუცრუა ადამიანებს და იძულებული გახადა ისინი, კვლავ რუსეთისკენ გაეხედათ და პრობლემის გადაწყვეტის გასაღები იქ ეძებნათ.

30 წელია, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ოცდაათი წელია, ერთი წუთითაც არ შენელებულა მისი







სწრაფვა ნატოსკენ, ევროკავშირისკენ, ოცდაათი წელია, საქართველო დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმში ცხოვრობს, შედეგად კი რა მივიღეთ? რა მივიღეთ და 20%-ით შემცირებული საქართველო, სიღარიბე, უმუშევრობა, მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია, პოლიტიკური არასტაბილურობა, „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტური ორგანიზაციის კვლავ ხელისუფლებაში მობრუნების მუდმივი საფრთხე, ნატოს ღია კარები, სადაც შესვლა არ შეგვიძლია და ევროკავშირში გაწევრიანების ბუნდოვანი პერსპექტივა.

არ შეიძლება ეს ყველაფერი უსასრულოდ გაგრძელდეს. ამ დამქანცველ მარათონს, უბრალოდ, ქვეყანა ვერ გაუძლებს.

დასავლეთის სახელით, დემოკრატიის სახელით, სიტყვის თავისუფლების სახელით, ზოგჯერ ისეთი ამბები ხდება საქართველოში, რომლებიც პირდაპირ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს და მის პოზიციებს, შესუსტების ნაცვლად, კიდევ უფრო აძლიერებს.

დემოკრატიული პრინციპების ორნაირი გაგება, ორმაგი სტანდარტი, სახელმწიფოს მშენებლობის და განვითარების საშუალებას არ იძლევა და სახელმწიფო სტრუქტურებისა და ინსტიტუტების დაკნინება-დაბეჩავებას იწვევს.

ასე, მაგალითად, როცა საქართველოს მიუთითებენ, რომ მიუღებელია პოლიტიკური მართლმსაჯულება და სასამართლო სტრუქტურების რეფორმა აუცილებელია და, იმავე დროს, ისინი, ვინც ამას მოითხოვენ, პოლიტპატიმრის სტატუსს ანიჭებენ ხაზინის ქურდებს, პარლამენტზე განხორციელებული შტურმის ორგანიზატორს, განგსტერს და ავაზაკს, სწორედ ეს არის პოლიტიკური მართლმსაჯულება, მართლმსაჯულების მორგება პოლიტიკურ ინტერესებზე.

როცა „ნაცმოძრაობა“, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს უამრავი შემზარავი დანაშაული აქვს ჩადენილი, დღემდე არ გამხდარა დასავლეთის მხრიდან სამართლიანი და ობიექტური განსჯის საგანი და როცა ამ ფაშისტური ძალის ხელისუფლებაში მობრუნებას დასაშვებად მიიჩნევ, სწორედ ეს არის პოლიტიკური მართლმსაჯულება.

**როცა ადამიანს, რომელსაც თავისი გაჭირვებული ქვეყნის დასახმარებლად სამი მილიარდი დოლარი აქვს გაღებული და ასეთ ადამიანს ანგარიშების დაყადაღებით და სანქციებით ემუქრები, სწორედ ეს არის პოლიტიკური მართლმსაჯულება.**

მოდით, ამ უხერხულ დეტალებზე საუბარს დროებით მოვეშვათ და ისევ იმედს, უფრო ზუსტად, იმედის ჩემეულ ვარიანტს დავუბრუნდეთ.

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, **იმედი მაქვს, რომ დასავლეთი რადიკალურად შეცვლის თავის დამოკიდებულებას საქართველოსადმი და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველო კავკასიაში ახალ ისრაელად იქცეს.**

ეს არა მარტო საქართველოს, არამედ, პირველყოვლისა, დასავლეთის ინტერესებში შედის.

რაც რუსეთთან მიმართებაში ვთქვი, იგივე შემიძლია გავიმეორო დასავლეთთან მიმართებაშიც: მხოლოდ ძლიერი საქართველო შეიძლება მას გამოადგეს პარტნიორად და საყრდენად, სუსტი საქართველო კი ყოველთვის იძულებული იქნება, ხსნა და საშველი სხვაგან ეძებოს.

**ძვირფასო მეგობრებო დასავლეთიდან, თქვენი გაუგებარი და გაუმართლებელი მოქმედებებით ნუ აიძულებთ ქართველ ხალხს, თქვას ის, რისი თქმაც მას არ უნდა: თავი დაგვანებეთ, ჩვენს პრობლემებს ჩვენ თვითონ მივხედავთო.**

საქართველოსთან დამოკიდებულებაში კორექტივები რომ შეიტანოს, ამისთვის აუცილებელია, დასავლეთმა ხელახლა აღმოაჩინოს საქართველო, ის ნამდვილი საქართველო, რომლის გადაკეთებასაც ასე მონდომებით ცდილობენ მავანნი და მავანნი.

საქართველოს და ქართველი ხალხის გადაკეთების მცდელობაც ისეთივე დანაშაულია, როგორც იუნესკოს მიერ დაცული რომელიმე მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ძეგლის გადაკეთება, რადგან საქართველოც, თავისი კულტურით, თავისი ტრადიციებით, თავისი ტოლერანტული ბუნებით, ადამიანთა შორის ურთიერთობის ნორმებით, გნებავთ, თავისი დემოკრატიულობით, უნიკალური ძეგლია, ძეგლი-სახელმწიფო, რომელსაც კაცობრიობა ისევე უნდა უფრთხილდებოდეს, როგორც საკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლებს უვლის და უფრთხილდება.

საქართველო, არა მარტო, უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, არამედ ის თვითონ არის ცივილიზაციათა გზაჯვარედინი, ცივილიზაციათა შემკრები, ცივილიზაციათა საერთო სახლი, მინი-ევროკავშირი, რომელიც საუკუნეებით ადრე არსებობდა, სანამ ევროპელებს ევროკავშირის დაფუძნება მოაფიქრდებოდათ.

— **მე ვარ ევროპელი, მაშასადამე, მე ვარ ქართველი!** — როდის იტყვიან ამას ევროპელები, რომლებიც, საქართველოში რომ ჩამოდიან, ქვეცნობიერად, ინსტინქტით, სისხლით გრძნობენ, რომ დიდი ხნის წინათ მიტოვებულ მამის სახლში დაბრუნდნენ...

## მუხრან მაჭავარიანი

### ვითარცა მტკვარი

მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა,
მამალი ჰყიოდა,
კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა,
ვიღაცა ჩიოდა,
ვიღაცას შიოდა,
ვიღაცას ციოდა,
და
დრო
გადიოდა.
ვითარცა ღვინო -
ქვევრიდან
ხაპში -
ხაპიდან -
დოქში -
დოქიდან
ჯამში -
ქართული სისხლი,
ქართული სული,
ქართული სიტყვა,
ქართული გული
გადადიოდა
კაციდან კაცში...
გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა -
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი...
გზადაგზა სვამდნენ,
ამღვრევდნენ,
ღვრიდნენ,
უღმერთოდ ჰრყვნიდნენ,
უგულოდ ჰყიდდნენ
და...
მიუხედავად ამისა, მაინც -
გამოიარა
რუსთველის გული,
გამოიარა
ვახტანგის გული,
გამოიარა
თამარის გული,
გამოიარა
სულხანის გული
და დღეს -
შოთაის ნაქონი
სისხლით,
და დღეს -
ვახტანგის ნაქონი
სისხლით,
და დღეს -
სულხანის ნაქონი
სისხლით -
თბილისის ფართო
ქუჩებში დადის:
ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ნანი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი.
და...
იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!

# თუ გვინდა რომ საქართველო კვლავ იქცეს კავკასიის ლიდერ სახელმწიფოდ, ის 15 პარტია, რომელმაც ლგბტ პრაიდს მხარი დაუჭირა, პოლიტიკას ახლოს არ უნდა გავაკაროთ

*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი, დიმიტრი ლორთქიფანიძე:*

**— ბატონო დიმიტრი, საქართველომ ფილიპ რიკერთან მჭიდრო კოორდინაციით, აზერბაიჯანის მიერ კონფლიქტის დროს დაკავებული სომხეთის 15 მოქალაქის გათავისუფლებას ხელი შეუწყო. როგორ ფიქრობთ, საქართველო ის ეპიცენტრია, სადაც შესაძლოა საფუძველი ჩაეყაროს სამი კავკასიური სახელმწიფოს მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობის იდეას?**

— დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ისტორიული როლი, კავკასიის განვითარების პროცესში, ყოველთვის გამორჩეული, დომინანტური იყო. ჩვენ, ბოლო 20 წლის მანძილზე ეს ისტორიული მისია ნელ-ნელა ეტაპობრივად დავკარგეთ. თბილისი, ნამდვილად, იყო ცივილიზაციათა გზაჯვარედინი და რეგიონის მთავარ დასაყრდენ ადმინისტრაციულ ერთეულად



ითვლებოდა. აღარაფერს ვამბობ, თბილისის განსაკუთრებულ როლზე, 20-იანი წლების ამიერკავკასიის ფედერალური რესპუბლიკის არსებობის პირობებში. შესაბამისად, რეალურ პოლიტიკაში ერთ-ერთი უმთავრესი მისია, ამოცანა შემდეგია: საქართველოს ეს ისტორიული ფუნქცია დავუბრუნოთ. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა ეკუთვნის სალომე ზურაბიშვილს, რაც მედიის მიერ არ გაშუქდა, შეუმჩნეველი დარჩა. არადა, მან მე-10 მოწვევის პარლამენტის პლენარული სესიის გახსნის დღეს, ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი თქმით: დროა, მშვიდობიანი კავკასიური პლატფორმის შექმნაზე ვიფიქროთ, რაშიც მონაწილეობას რეგიონალური სახელმწიფოს ლიდერები და ასევე, ჩვენი პარტნიორები მიიღებენ. პირადად ჩემთვის, როგორც ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელისთვის, ეს უმთავრესი საკითხია. პირველად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაჟღერდა შემდეგი: რეგიონალური პოლიტიკის განვითარების კუთხით, გადაიხედოს ის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, რაც საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციით არის გამოწვეული და რაც ქართულ-რუსული დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის კუთხით, დაუძლეველ წინაღობად იქცა. ამ შემთხვევაში, რეგიონალური მოთამაშეების მიერ გამოხატული ინიციატივა, ჩემი აზრით, უკვე არის იმ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რაც არათუ მკვდრადშობილი სიტყვებით, არამედ საქმით უნდა გაგრძელდეს. **ვფიქრობ, ამ პროცესში ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის როლი კონფლიქტის დეესკალაციის მიმართულებით, ასევე, იმ ჰუმანიტარული მისიის აღსრულების კუთხით, რაც აზერბაიჯანის მხრიდან, 15 გატაცებული, დატყვევებული სომეხი ჯარისკაცის უკან დაბრუნებას გულისხმობდა, უმნიშვნელოვანესია. დიახ, ეს სერიოზული პოლიტიკური აქტია.** აღნიშნული ისტორიული ფაქტი აჩენს შესაძლებლობას საქართველომ, აუცილებლად, გააგრძელოს სვლა, გეზი ამ მიმართულებით. იმისთვის, რომ ეს რეალურად აღსრულდეს, საჭიროა პარლამენტში სახელმწიფოს ინტერესები სწორად იქნას გამოხატული. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი სახელმწიფო პოლიტიკის წარმოების მიმართულებით გაჩნდება იმედი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არის არა მითი, არამედ რეალობა.

**— ამ მიზნის მისაღწევად რა უნდა გაკეთდეს?**

— უმთავრესი რასაც ამ შემთხვევში უნდა მივაღწიოთ, გახლავთ ჩვენზე ძლიერ სახელმწიფოებს შორის ბალანსის დაჭერა, სწორი ლავირება. ეს ურთულესი მისიაა, რომელსაც მხოლოდ ერთი პოლიტიკური გუნდი როგორი პასუხისმგებლიანიც არ უნდა იყოს იგი და რაოდენ ძლიერი პრემიერ-მინისტრიც არ უნდა ჰყავდეს, ვერ განახორციელებს თუ კონსტრუქციული ოპოზიცია არ ეყოლება. დიახ, ისეთი ოპოზიცია რომელიც ყოველთვის შეეცდება საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არა დაშოროშორების პოლიტიკის არჩევას, არამედ პოზიციათა დაახლოების წერტილების ძიებას. ასეთი რამ შესაძლებელია, მხოლოდდამხოლოდ, სწორი ეროვნული კონცეფციის განსაზღვრისას. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ქართული რეალური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წერტილი ქართულ-რუსული ურთიერთობების გადატვირთვა იქნება, რაც ძალიან სერიოზულ ნიჭს, შესაძლებლობებს და უნარებს მოითხოვს. გავიხსენოთ, „ქართული ოცნების“ დაპირება ხელისუფლებაში მოსვლისას — ქართულ-რუსული ურთიერთობების გადატვირთვის პოლიტიკა და სამართლებრივი სამართლიანი გარემოს შექმნა. სამწუხაროდ, ქართულ-რუსული ურთიერთობების მიმართულებით არაფერი გაკეთებულა გარდა იმისა, რომ პროცესი რომელიც ნელ-ნელა დაახლოებისკენ მიდიოდა, უფრო გამწვავდა: საქართველოსა და რუსეთს შორის ავია-ფრენები შეწყდა, შეიზღუდა რუსეთიდან ტურისტების შემოსვლა, რამაც ეკონომიკას სერიოზული დარტყმა მიაყენა და წლიური დანაკარგი, უკვე, მილიარდს გადასცდა.

**— ერთიანი კავკასიური სახლის იდეა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას ჰქონდა. დღეს რა ვითარებაა? როგორ ფიქრობთ, გარკვეული ძალები მივიდნენ იმ დასკვნამდე: თუ საქართველოს ლიდერის ფუნქცია დაუბრუნდება, ეს მხოლოდდამხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება?**

— როცა ერთიანი კავკასიური სახლის იდეას ვეხებით, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ეს იდეა, გეო-პოლიტიკური სტრატეგიის განვითარების კუთხით, დასავლელი პარტნიორებისთვის, შეიძლება ძალიან საინტერესო იყოს, მაგრამ ჩვენთვის, ეს, აღსრულების კუთხით, საკმაოდ საფრთხილო თემაა, ვინაიდან კავკასიის ერთი ნაწილი რუსეთის ფედერაციას ეკუთნის. ბუნებრივია, რუსეთის ფედერაციისთვის, რომლისთვისაც ჩრდილოეთ-კავკასია ერთგვარი თავსატეხი, მუდმივი, არეულობისა და დესტაბილიზაციის მცდელობების ჩაქრობაა, დამატებითი პრობლემები იმის თაობაზე, რომ ვიღაც ჩრდილოეთ-კავკასიის სეპარატისტულ მოძრაობას ხელს უწყობს, სასურველი არ არის. ეს, საქართველოსთვის, შეიძლება, დამატებითი დაძაბულობის კერა გახდეს. პირიქით, უნდა ვეცადოთ რუსეთი დავიყოლიოთ, რომ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას პატივი სცეს და ეს თავად მისთვის გახდეს სტაბილურობის გარანტი. რუსეთის მხრიდან, ცალმხრივად,



აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის აღიარება, მისთვისვე, ძალიან საფრთხილო თემაა. იგივე პრეცედენტზე დაყრდნობით, ხვალ, შეიძლება, ჩრდილოეთ-კავკასიის რესპუბლიკებმა სცადონ სეპარატისტული მოძრაობის ხელშეწყობა, რაც სხვადასხვა ეთნიკურ-რელიგიურ ფაქტორებზე დაყრდნობით გააძლიერონ. მით უმეტეს, მაშინ, როცა თურქეთი დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს თამაშობს. მისი გავლენა, ჩრდილოეთ-კავკასიაზე, მეფის რუსეთის დროსაც და მის შემდგომ პერიოდშიც, ყოველთვის, განსაკუთრებული იყო. შეგახსენებთ, რომ შამილის აჯანყებას მე-18 საუკუნეში თურქეთმა მხარი დაუჭირა. იმდროინდელი სეპარატისტული დაჯგუფება იმდენად იყო გათამამებული, რომ საქართველოს მიმართულებით, თარეშსაც კი არ ერიდებოდა. დავით გარეჯში ბერების მიმართ განხორციელებული აგრესიის ბოლო, მასშტაბური ფაქტი გახლდათ, როცა რამდენიმე ბერს ლეკებმა თავები მოჰკვეთეს. შესაბამისად, ხაზგასმით ვამბობ: ლეკიანობა სხვა არაფერი იყო, თუ არა თურქეთის მხრიდან გათამამებული ერთმორწმუნე ჩრდილოეთ-კავკასიელების სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია, რაც რუსეთისთვისაც საზიანო იყო და თავისთავად, საქართველოსთვისაც. სწორედ მაშინ, შამილის აჯანყების ჩახშობის ერთ-ერთმა მოთავემ — გრიგოლ ორბელიანმა და სხვა ქართველებმა, უნიკალური სპეცოპერაციის ჩატარების შედეგად, საფრთხეების ლოკალიზაცია მოახდინეს. ვითარების საბოლოო განეიტრალებაში უმთავრესი წვლილი შეიტანეს. ანალოგიურად, ჩვენი ამოცანაა, პატივი ვცეთ რეგიონში არსებული სასაზღვრო-პოლიტიკური წესრიგის დღევანდელ მოცემულობას და ჩვენი პარტნიორი მეზობელი სახელმწიფოები ვაიძულოთ და მოვუწოდოთ: თავადაც, ასე მოიქცნენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ლოკალური კონფლიქტის განმუხტვის საკითხში, მნიშვნელოვანი პრეცედენტი შევქმენით. ეს გლობალური პოლიტიკური ტრენდის პრეცედენტად უნდა ვაქციოთ, სადაც საქართველომ, პოლიტიკურმა თბილისმა თავისი ისტორიული მისია და ფუნქცია უნდა დაიბრუნოს. მჯერა და მწამს, რომ ეს, აუცილებლად, განხორციელდება, ოღონდ, ერთი პირობით: **ის 15 პოლიტიკური პარტია, რომელიც ხელს აწერს ლგბტ პროპაგანდის აღსრულებას, პოლიტიკურ სარბიელზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. იმიტომ, რომ თუ ჩვენ, გვინდა ერთიანი კავკასიური სივრცე იქ, სადაც კავკასიელებს ექნებათ ერთმანეთის მიმართ პატივისცემისა და მუდმივი განცდა იმისა, რომ ეს არის ტრადიციული გარკვეული კულტურული კონსერვაციის ადგილი და კერა, ამისთვის საჭიროა დასავლური ექსპანსიის გადმონაშთი, ერთხელდასამუდამოდ, ამოვძირკვოთ.**

**— თქვენ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრეთ. ამ საკითხის გადაჭრას ბევრი ოპოზიციური პარტია, დამოუკიდებლად, ცდილობს. პრობლემის დაძლევის რეალური გზა როგორ გესახებათ?**

— ვფიქრობ, ლევან ვასაძის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შემოსვლა იმ ძირითადი ლოზუნგით, რაც ქართულ-რუსული ურთიერთობების გადატვირთვას და დიალოგის დაწყების აუცილებლობას გულისხმობს, აქამდე, მკვდრადშობილ პოლიტიკას ყირაზე აყენებს. იგი, ყველას სწორ მაგალითს აძლევს, თუ როგორ უნდა აღსრულდეს ამ საკითხთან მიმართებაში დადებული პირობა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: „ქართული ოცნება“ დაგვპირდა იმას, რაზეც დღეს, ლევან ვასაძე ღიად საუბრობს. ვფიქრობ, ეს ლოკალური ნიშა, სწორედ, ქართული ეროვნული პოლიტიკის განმახორციელებელი, ინტერესების გამომხატველი იქნება, რასაც ხალხი, აუცილებლად, დაუჭერს მხარს.




**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ბაიდენი და პუტინი ისეთ ღრმა უფსკრულს მიადგნენ, ორივეს შეეშინდა და უკან დაიხიეს

*გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:*

**— ბატონო სოსო, 2011 წლის შემდეგ, პუტინი და ბაიდენი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ამერიკასა და რუსეთს შორის ასეთი გართულებული მდგომარეობა არასდროს ყოფილა. რა მოლოდინები გაქვთ?**

— პუტინი-ბაიდენის შეხვედრისგან დიდი მოლოდინი არ ყოფილა. არც აშშ-ში, არც ევროპაში და არც რუსეთში, ამ კუთხით, დიდს არაფერს ელოდნენ. უცნაურია, მაგრამ ყველაზე დიდი მოლოდინი საქართველოს ჰქონდა. ეს ჩვენი ქართული ისტებლიშმენტის კატასტროფულად დაბალ პოლიტიკურ ინტელექტზე მეტყველებს. ახლა, ჩვენი შიდა ცხოვრება, პრაქტიკულად, სოციალურმა ქსელებმა წალეკა, იქ, საერთოდ, ვერანაირ სასარგებლო ინფორმაციას ვერ ნახავთ გარდა ჭორაობისა, გინებისა, ინტრიგებისა და ა.შ. სამეცნიერო ანალიზმა კი ფასი დაკარგა. ის რაც ფასს კარგავს, ნელ-ნელა დეგრადირდება. მოთხოვნილება განსაზღვრავს არამარტო მიწოდებას, არამედ მის ხარისხსაც. რაც შეეხება თავად პუტინისა და ბაიდენის შეხვედრას, პრაქტიკულად, ერთი შეხედვით, თითქოს, არაფერი მომხდარა, მაგრამ სინამდვილეში, მოსალოდნელია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები. როგორც ბევრი მიმომხილველი წერს: თუ რუსეთის ციხიდან რამდენიმე პოლიტ. პატიმარი გათავისუფლდება, ეს უკვე შედეგი იქნება. რამდენიმე დღის წინ, მოსკოვის ელჩი ანტონოვი ვაშინგტონში გაფრინდა. ალბათ, აშშ-ს ელჩიც მოსკოვში დაბრუნდება. ეს კარგია. ელჩები გაწვეულნი იყვნენ. რუსეთმა გამოიწვია თავისი ელჩი. ამერიკის ელჩი კი მოსკოვიდან ზრდილობიანად გააპანღურეს. შეთანხმდნენ შემდეგზე: ცივი ომი არ იქნება.

**— ბევრს საუბრობენ: შეხვედრაზე საქართველო ნახსენებიც არ ყოფილაო.**

— დიახ, ჩვენები ძალიან წუხან: საქართველო რატომ არ ახსენესო. უკრაინაზე კი იყო საუბარი. აქვე, მნიშვნელოვანი რამ მოხდა — გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინის რადამ თავისი ცნობილი მიმართვა, ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, გადადო. ვრცელდებოდა ჭორები, თითქოს, შეთანხმება არსებობდა — უკრაინა ვაშინგტონს მიმართავდა და ისიც მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. თუმცა, რადამ მიიიღო გადაწყვეტილება, ასეთი თხოვნით არ მიემართა. როგორც ჩანს, კიევისთვის ცნობილი გახდა, რომ ამერიკა, ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მზად არ არის. გარდა ამისა, ყველასთვის ვინც ათეული წლებია ამ ურთიერთობებს, დიპლომატიურ ნიუანსებს თვალს ადევნებს, ცნობილი იყო ფაქტი, რომ ზელენსკის ვიზიტი აშშ-ში გადაიდო. უკრაინის პრეზიდენტი ვარაუდობდა, რომ ბაიდენი მას პუტინთან შეხვედრამდე მიიღებდა. აღნიშნული ვიზიტი ამერიკის მხარემ გადადო. კი, ზელენსკი ოფიციალურად დაპატიჟეს, მაგრამ სამიტის შემდეგ. ეს, თითქოს, რაღაც კონსტრუქციაა, მაგრამ ამას დიპლომატიურ ენაზე თუ ვთარგმნით: ბაიდენმა გადაწყვიტა შეხვედრის წინ პუტინი არ გაენაწყენებინა. ხომ გასაგებია, ზელენსკის და ბაიდენის შეხვედრაზე რაზეც იქნებოდა საუბარი. პუტინი სულელი არ არის და ჩვენდა სამწუხაროდ, კრემლშიც სულელები არ სხედან. უფრო მეტ სულელებს, მე, თბილისში ვხედავ, ვიდრე კრემლში. მოკლედ, ვიზიტი გადაიდო. როცა ზელენსკი ვაშინგტონში ჩავა, ბაიდენი მას დაარწმუნებს, რომ ახლა, ასეა საჭირო — არავითარი გაწევრიანება ნატოში. მიმართვით და საჯარო განცხადებებით, ვაშინგტონს თავი არ უნდა მოაბეზრონ, რასაც უკრაინის პრეზიდენტს ვაშინგტონში დავარცხნილად აუხსნიან. ეს, ჩვენთვისაც, გაკვეთილი იქნება. რასაც ზელენსკის ეტყვიან, ჩვენც უნდა გავიგონოთ. ქართული ანდაზა ხომ გახსოვთ: კოკას ეუბნებოდნენ, ლიტრავ გესმოდესო. სწორედ ის ვარიანტია. მე, უბრალოდ, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის მიკვირს. ამდენი წელი მინისტრი როცა ხარ, რაც არ უნდა საბაზისო მომზადება არასაკმარისი გქონდეს, პრაქტიკამ თავისი უნდა გააკეთოს. მაგალითად, ვერ დავიჯერებ, რომ ზალკანიანი იმდენად არაკომპეტენტურია, ისიც არ იცის, როდის განაცხადა ამერიკამ საჯაროდ შემდეგი რამ: საქართველო და ნატოში გაწევრიანება, ეს, მხოლოდ, ნატოს და საქართველოს საქმეა, მესამე სახელმწიფოს უფლება არ აქვს ყოველივე ამაში ჩაერიოსო. ეს მინისტრმა ხომ იცის, გამოდის, ჩვენ ვგონივართ დეგენერატები? სტოლტენბერგის განცხადება: მესამე სახელმწიფოს უფლება არ აქვს ნატო-საქართველოს ურთიერთობაში ჩაერიოსო, ეს იმ დროიდან მესმის, როცა თავზე ჯერ კიდევ ხუჭუჭი თმა მქონდა. ნუთუ, ზალკანიანმა ეს არ იცის?! ხელფასს ხომ იმიტომ ღებულობს, რომ რაღაც საიმედო თქვას. ნებისმიერი საწარმოს ღამის დარაჯი უფრო პატიოსნად იმსახურებს თავის ხელფასს, ვიდრე საგარეო საქმეთა მინისტრი. შავი იუმორია მაგრამ ზოგჯერ ასეც ვფიქრობ: რა მოხდება, ეკონომიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მთავრობამ ქამრების შემოჭერა რომ გადაწყვიტოს და საგარეო საქმეთა სამინისტო გააუქმონ. დაშავდება რამე? — თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერი. ისევე, როგორც შერიგებისა და დაძმაკაცების სამინისტროს გაუქმებით არ დაშავდება არაფერი. ამ ამბავს ვერც კი გავიგებთ. ვთქვათ, ეს სამინისტრო გააუქმონ და ამის შესახებ ცნობა არ გაავრცელონ. გავა წლები და არც კი გვეცოდინება, რომ ეს სამინისტრო აღარ გვაქვს. იმიტომ, რომ მათ საქმიანობას, აბსოლუტურად, ვერ ვხედავთ. საგარეო საქმეთა სამინისტროც ზუსტად ასეა. დავუბრუნდეთ, ბაიდენი და პუტინის შეხვედრას, ე.წ. გადატვირთვას არ უნდა ველოდოთ, მაგრამ არც ცივი ომი იქნება. ბოლო 40–50 წლის მანძილზე რაც დიდი ხელშეკრულებები დაიდო, ყველა წაკითხული, გაანალიზებული და დაარქივებული მაქვს, მაგრამ ასეთ რამეს არსად შევხვედრილვარ — ერთმა მხარემ მეორეს უთხრას: ჩემს ტერიტორიაზე ამა და ამ ობიექტებს ხელი არ ახლოო. მაგრამ ახლა, რა მოხდა? — ბაიდენმა პუტინს 16 ობიექტი დაუსახელა და უთხრა: აქ, კიბერ-შეტევას ვერ ავიტანთო. რა გამოდის, დანარჩენ ობიექტებზე აიტანენ? ერთადერთი, ყველაზე მკვეთრი რაც იყო, ეს გახლდათ ის, რაც ბაიდენმა განაცხადა: მე, პუტინს ვაგრძნობინე, მან იცის, რომ თუ ნავალნი ციხეში მოკვდება, ამას რუსეთისთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვებაო. ჩემი აზრით, ეს გაზვიადებულია. ნავალნიც ჩვეულებრივი რუსი იმპერიალისტია. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ის თუ ციხეში მოკვდება, ამას არავითარი კატასტროფული შედეგი არ ექნება. დიახ, ამის გამო ამერიკა ომს, ნამდვილად, არ დაიწყებს. უფრო ეფექტური იყო, როდესაც ნიქსონმა საბჭოთა კავშირს პირდაპირ 22 პოლიტ.პატიმრის სია გადასცა, რომლებიც გაათავისუფლეს. მაშინ ამერიკამ ჩათვალა, რომ საბჭოთა კავშირში 22 პოლიტ.პატიმარი იყო. ლირიკულ გადახვევას გავაკეთებ: 2012 წელს საქართველოს ახალმოსულმა ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ აქ, ასამდე პოლიტ.პატიმარი იყო და ყველა მათგანი გაათავისუფლეს. დავუბრუნდეთ, მთავარს. ბაიდენი-პუტინის შეხვედრის შედეგებს თანდათან გავიგებთ. ამაზე, ერთერთმა ანალიტიკოსმა დაწერა: ორივე მხარე უფსკრულს მიადგა, ეს, უცებ, დაინახეს, შეეშინდათ და უკან დაიხიეს. აი, ეს არის. რა ხდება ამ დროს? — ლაპარაკია სტრატეგიულ სტაბილურობაზე. ამის მსხვერპლი ყოველთვის თავისუფლებაა. ყველაზე ცუდი, რისი საშიშროებაც რეალურად, არსებობდა, არ მოხდა. ეს გახლავთ „იალტა 2“ — სფეროების დაყოფა. პრაქტიკულად, პუტინმა დღეს, უკვე, იცის, სადამდე შეუძლია აღმოსავლეთ-უკრაინაში აგრესია განავითაროს. გავიხსენოთ, მინსკის ხელშეკრულება. ეს, ანტიუკრაინულია. პუტინი სიმართლეს ამბობს: უკრაინა ამ ხელშეკრულებას სრულად არ ასრულებსო. იცით, რატომ არ ასრულებს? იმიტომ, რომ ეს მისი დამღუპველი ხელშეკრულებაა. აქ, ლაპარაკია შემდეგზე: ჯერ საზღვარი დადგინდეს და მერე, ჩატარდეს არჩევნები, თუ ამ სადაო ტერიტორიებზე ჯერ არჩევნები ჩატარდეს და მერე საზღვარი დადგინდეს. საზღვრის დადგენამდე, სანამ უკრაინელი მესაზღვრე რუსეთსა და უკრაინის საზღვარზე არ ჩადგება, აბა, მიდი იქ, არჩევნები ჩაატარე. ამ ტერიტორიაზე არჩევნებს პუტინი ჩაატარებს. შედეგი რა იქნება? — ავთვისებიანი სიმსივნე უკრაინის პოლიტიკურ სხეულზე.

**— რამდენად მნიშვნელოვანია, დღეს, ბაიდენისთვის რუსეთის ფაქტორი?**

— მოგახსენებთ. მთავარი მაინც ის არის, რომ ბაიდენს სულ სხვა გეგმები აქვს. მის გეგმებში რუსეთი მეორე პლანზე დგას. წლის ბოლოდან მოსალოდნელია, რომ ბაიდენი ჩინეთისთვის მოიცლის. დღეს, ამერიკის მთავარი კონკურენტი რუსეთი არ გახლავთ, არც დასავლეთი. წინააღმდეგობა, რაც ტრამპსა და ევროპას შორის იყო, ისევ არსებობს. დღეს, ბაიდენმა ეს წინააღმდეგობა შეარბილა. კი ბატონო, ევროპასთან ბევრ დათმობაზე წავიდა. მერკელი ჯიუტად აცხადებს: დასავლეთისთვის მთავარი გამოწვევა არის რუსეთი. ბაიდენს კი სწამს, რომ დღეს დასავლეთის მთავარი გამოწვევა არის ჩინეთი. ბაიდენი ჩინეთთან პირისპირ ბრძოლისთვის ემზადება. ტრამპიც ხედავდა, რომ მთავარი ჩინეთი იყო. სწორედ მისი პრეზიდენტობის დროს დაიწყო ჩინეთ-ამერიკას შორის ურთიერთობის გაფუჭება. თორემ, ობამა ყველაფერს „ჭამდა“. ჩინეთი, ამერიკის ხარჯზე, თავის ინტერესებს უხეშად ატარებდა, ხოლო ობამა ამაზე თვალს ხუჭავდა. ტრამპმა თვალები გაახილა და ჩინეთთან სავაჭრო ომი დაიწყო. ეს პროცესი არ დამთავრებულა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთის ეკონომიკა პანდემიის კრიზისიდან პირველი გამოვიდა. დღეს მისი ეკონომიკის ზრდა 18,5%-ია. ეს უფრო მეტია, ვიდრე 1993 წელს იყო. ასე, რომ ამერიკისთვის მთავარი საფრთხე ჩინეთია.

**— ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზე რას იტყვით?**

— დღეს დგას საკითხი უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ. ისინი ნატოს წევრები, აუცილებლად, გახდებიან. მე, ეს მჯერა. თუმცა, ამავე დროს, ისიც მჯერა, რომ უკრაინა და საქართველო ნატოს წევრები გახდებიან მაშინ, როცა მათ რუსეთისგან საფრთხე აღარ დაემუქრებათ. ირონია ის გახლავთ, რომ ჩვენ, ნატოში გაწევრიანება გვინდა რუსეთისგან თავის დასაცავად. ამ საქმეში, ჩვენი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე არის გერმანია, საფრანგეთი, იტალია. ბუშს ეს უნდოდა, მაგრამ ამათ არ სურთ. ევროპა უკვე აღარ არის 40-იანი წლები, როდესაც ვაშინგტონი მას თითის დაქნევით მართავდა. ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, ნატოს წევრობა გვინდა რუსეთისგან დასაცავად. პრაქტიკულად, არ გვეუბნებიან, მაგრამ გვახვედრებენ: ნატოს წევრები მაშინ გახდებით, როცა რუსეთი იტყვის: ჯანდაბას თქვენი თავი, გაწევრიანდით, მე, ეს აღარ მადარდებსო. ეს, რეალობაა. ყველაზე ცუდი კი არარეალური მოლოდინია, რასაც ყოველთვის იმედგაცრუება მოჰყვება. ეს ძალიან საშიშია. ამიტომ, მოდით, რეალისტები ვიყოთ.





**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# უსამშობლობის ტრაგედია

## ერის მორალს მწერლობა აყალიბებს

კობა არაბული:

***ომში ვართ დღეს ჩვენ, სახიფათო და ბედისწერულ ომში. მაგრამ ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს ბედისწერა მრისხანე, აჯანყებული სიტყვის მეოხებით. მხოლოდ სიტყვა რჩება იარაღაყრილი ერის მახვილად და ფარად...***

●

ჯერ კიდევ „მგზავრის წერილების" პერსონაჟმა რუსმა პოდპორუჩიკმა იცის, რომ ქვეყანა ფასდება მწერლით და კარგი გენერლების ყოლით!

იმ უვიცმა ჩინოვნიკმაც იცის, რომ ვერ მოიგებ ზნეობრივ ომს, თუ ჭეშმარიტი მწერალი არ გყავს.

ვერ მოიგებ ვერც ბოროდინოს და ვატერლოოს (და ვერც დიდგორს!) თუ ნამდვილი გენერალი არ გყავს!

ჩვენმა ლიბერასტმა-ნაცისტებმა ერის ზნეობრივი და სამხედრო სივრციდან განდევნეს ორივე — ჭეშმარიტი მწერალიც და გენერალიც!

მწერლები გააძევეს ისტორიული სახლიდან, წაართვეს ყოველგვარი საარსებო და სახელოვნებო პირობა და სამათხოვრო ტაბაკზე დასვეს — მწერალთა სახლის ბიბლიოთეკა და ქონება ნაცების მიერ იქ შეყვანილმა ბორდმა (თუბორდელმა) გაანადგურა/გააჩანაგა!..

გენერლები და ოფიცრები კი მოღალატეებად გამოაცხადეს და გაასამართლეს... ანდა, ჩახოცეს!..

„ნაცების" ხელისუფლებას, რომელიც ბედისწერამ არგუნა ქართველ ხალხს, სამწუხაროდ, არ სჭირდებოდა არც მწერალი და არც გენერალი, რადგან მიზანმიმართულად ანადგურებდნენ ერის სულიერ სივრცეს და ისტორიულ ცნობიერებას (ვინაიდან სირეგვნე ვერ ითავსებს გონიერებას და მწერლის ნიჭს!), სატელიტი პროვოკატორი პარტიები და არასამთავრობოები თავიდანვე მწერლობას და ეროვნულ ცნობიერებას დაუპირისპირდნენ...

მათ არ სჭირდებოდათ არც გენერალი, ვინაიდან სრულიად გააზრებულად უომრად (და მოღალატურად) აბარებდნენ მტერს საკუთარ მიწა-წყალს!..

მათ სჭირდებოდათ კლანი, გენმოდიფიცირებული (გამოყვანილი) მწერლები, ისეთები, როგორიც შექმნეს: ჰიბრიდული — ლიბერასტულ-ლესბოსურ-ნუდისტური მატერიის (პლაზმის) ნაჯვარი — მწერალს მიმგვანებული არსებანი, „მოლაპარაკე თხები", „ჰომო-ნოვუსები"...

რა თქმა უნდა, ჰგვანან ისინი პროლეტ-კულტისდროინდელ წარმონაქმნ დამსმენ (ჩამშვებ), საკუთარი სამშობლოს და მშობლების გადამგდებ ჯალათ მჯღაბნელებს...

მაგრამ საგანგებოდ უნდა ითქვას: დღევანდელი ჰიბრიდული მწერლური წარმონაქმნი სულ სხვა მოვლენაა, შერწყმული გლობალურ-რობოტიზებულ დროსთან და დალესისეულ (და სხვა მასონური ლოჯისტიკის) გამაოგნებელ სატანისტურ დოქტრინებთან, რომელიც გულისხმობს ადამიანში ხვთიური ბუნების წაშლას, ადამიანისთვის მორალის გამოცლას, რწმენის, იმედის, სიყვარულის წართმევას. ანუ მის გადახრას ნეანდერტალელი „მაიმუნის" ფსიქოლოგიისკენ, მახსოვს, 60-იანი წლების ბირჟის ბიჭები ასეთ ტექსტს მღეროდნენ: „ლომი ღრიალებს, ლომი ღრიალებს, თავისუფლებას დავიბრუნებო, /ადამიანის გაჩენისათვის/ დედას გიტირებთ, მაიმუნებო!?" — მაშინ ლომი მაიმუნებს ემუქრებოდა ადამიანების შექმნისთვის, ახლა ადამიანს არავინ ემუქრება კვლავ გამაიმუნებისთვის...

●

ჩვენ არ ვიცით, როგორ მოხერხდა მაიმუნის ქცევა ადამიანად დარვინის ცნობიერებაში, მაგრამ მე ვხედავ, როგორ შეიძლება ადამიანის გამაიმუნება (ან გადინოზავრება) პარლამენტარი ნაცების და მათი სატელიტი არასამთავრობო ენჯეოთა ქცევისა და „მორალის" მაგალითზე. როგორ დახტის ღობეზე მაიმუნივით სრულიად უმწიფარი ქალბატონი (ნაციონალების სახე) გაურკვეველ პოლიტიკურ ფსიქო-მოდელად ჩამოყალიბებული და როგორ იქცევა თითქოს დინოზავრის კვერცხიდან ახალგამოჩეკილი ნაყოფი (მელია!), რომელიც ხუთივე თითს და ცხვირსაც პირდაპირ სახეში სჩრის ქვეყნის პრემიერს პარლამენტის დარბაზში...

●

რატომ და როგორ უბრუნდება ადამიანი ასეთ ველურ, ვულგარულ, ამორალური ქცევის წესებს (ნორმებს)?!

რატომ და ვის მიერ, რა ენერგიების ძალით ხდება მისი სტიგმატიზირება და ზომბირება?

რატომ მიიქცა XXI საუკუნის ადამიანი „ველური სიშიშვლის" თავისუფლებისკენ?

რატომ და ვის მიერ ხდება ენჯეოებსა და ტელევიზიებში ამდენი უარყოფითი ენერგიის აკუმულირება და გადმოფრქვევა, ვინ ტენის მათ?!

განთავისუფლებული სიტყვის, იგივე, გამოხატვის თავისუფლების აყვანა გაუგონარი პათოლოგიის დონემდე და ახალი თაობისთვის და საზოგადოებისთვის „თავხედობის" მორალად ქცევა...

●

ჩვენ გვიკვირს და ვკითხულობთ: რატომ იძალადა კაცმა ქალზე, რატომ მოკლა ადამიანმა ადამიანი, ბავშვმა — ბავშვი. რატომ გახდა იგი დაუნდობელი, საკუთარი თანატოლის და მშობლის მიმართაც... რა არის მიზეზი?..

საზოგადოება, ადამიანი, ბავშვი გავათავისუფლეთ მორალისგან, მივანიჭეთ გამოხატვის და ქცევის თავისუფლება და მან თავისუფლად იხმარა იარაღი, გამოხატა თავისი ნება, ჯერ სიტყვა შეუბრუნა, მერე — ქვა...

ერთის მხრივ, მამაკაცის მიერ ქალის შეხედვა ცხადდება ბოროტ, „დასჯად" სტიგმად, არასამთავრობო ჰომოსექსუალი ღლავების მიერ, მეორე მხრივ, ადამიანის ქცევის თავისუფლება იქცა მუდმივი პროპაგანდის თემად და მასმედიის ნორმად. სად არის ლოგიკა?!

ეს არის იდეოლოგია, რომელიც მოახვია თავზე ჩვენს ერს ლიბერასტულმა სამყარომ!

●

ბავშვს აღარ ჰყავს პედაგოგი სკოლაში, ის გათავისუფლებულია მასწავლებლის ზედამხედველობისგან! მოსწავლე თავად აქციეს მასწავლებლის მასწავლებლად?! მასწავლებელს არ შეუძლია ბავშვს შენიშვნა მისცეს და თუნდაც ყური აუწიოს, მკაცრად შეხედოს ან ხმამაღლა დაელაპარაკოს!

სკოლაში არ უშვებენ მოძღვარს. ბავშვს ავიწყებენ საკუთარი წინაპრების ისტორიას და კულტურას, რჯულს, ქცევის წესებს...

ბავშვები იზრდებიან უმშობლოდ, მას არ ჰყავს მშობელი: იგი განდევნილია სამშობლოდან... და სახლიდან! ბავშვებს მასწავლებლად უზით „რობოტი სფინქსი" ტელევიზიებიდან, ფეისბუკებიდან, ტელეფონებიდან სატანის თვალი უყურებს და სატანის გონი მართავს. ეს ასეა და ეს არის მწარე რეალობა!

ამ თემის რეზიუმეს სახით მინდა ვთქვა: რაც ხდება ჩვენთან, ჩვენს სამშობლოში, ეს არის უსამშობლოო (და უმშობლო) თაობის სინდრომი და აყრილი ერის ტრაგედია! ეს არის ჩვენი ერის დღევანდელი ბედისწერა?!

ჩვენ თუ ვერ დავაბრუნეთ დედა (ქართველი ქალი) საკუთარ ოჯახში, ჩვენ თუ არ დავუბრუნეთ ბავშვებს (თაობას) პედაგოგი, მშობელი და სამშობლო, ყველაფერი დაღუპულია, არაფერი ეშველება იმ ქვეყანას, სადაც ძაღლებზე და ჰომოსექსუალებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე ბავშვებზე!

●

ხდება მოვლენათა და მცნებათა აღრევა და „დიფუზია", ცნობიერების სკლეროტული ინტეგრაცია...

ანუ:

XXI საუკუნის კაცობრიობას უდგება კულტურული კრიზისის და ზნეობრივი დეპრესიის ტრაგიკული დრო — თვისებათა ცვლის და სექსთა შებრუნების უცნობი (სატანური) ფაზა... იგი შედის სხვა აპოკალიფსის მინიშნებულ ზოდიაქოში...

კაცობრიობა (და უწინარესად ჩვენი ერი) შედის სოდომის ცოდვათა ქალაქში („სამთავროში") სადაც ზნეობრივ მაგალითს ვერ იპოვი!

ამასთანავე: ადამიანთა ფსიქიკას ცვლის უცნობი კოსმოსური „გრადაცია". დედამიწა ცვლის ტრაექტორიას და სიჩქარეს — ბუნება შობს ახალ ცხოველებს და სახეობებს... ხოლო ურწმუნო ადამიანთა კასტა მთლიანად კარგავს ზნეობრივ სახეს და გადის უფლის სახლიდან...

ეს არის სრულიად უცნობ დროთა და მოვლენათა „მიგრაცია" ჩვენს დროში!

●

როგორც ეტყობა, ჩვენ ვერ შევაჩერებთ გლობალურ პროცესებს, მაგრამ ვერ შევაჩერებთ ვერც საზოგადოების (ანუ თაობათა) ვულგარიზაციას, რადგანაც ერის ფსიქიკაზე ძალადობს რომელიღაც ზემდგომი სატანური ძალა. ამ შემთხვევაში გამოხატული (განსახიერებული) არასამთავრობო სექტორების, „საიების" და მისთანათა წარმონაქმნში და მწერალთა იმ ენჯეოებში, „უნიტაზების" თაობად რომ გვევლინება (იწოდება).

●

გავიმეორებ:

მე არ მიკვირს, რატომ მომრავლდნენ ერთმანეთის მკვლელი სადისტი ბავშვები, დაუნდობლები ერთმანეთის და მშობლების მიმართ?

– როცა მათ მორალისტად დაუსვამენ იგივე ბუღაძეევს, ქარუმიძეებს, ბურჭულაძეებს, დეისაძეებს, შამუგიებს, ამაღლობლებს და მისთანა ზნეობრივად და სექსუალურად გაუწონასწორებელ უტიფარ არსებებს, ასე იქნება!..

თვითონ სახელმწიფო ინსტიტუტები და ბობოლა მევახშენი შობენ და კვებავენ მათ, აწოვებენ ხაზარაძის ძუძუს, რადგან ისინი (ვიღაცას) სწორედ ასეთები სჭირდება!

როდესაც ზნეობრივი გაკვეთილების (მაგალითების) სივრციდან ამოაგდებ ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგს, გოგებაშვილს, ჯავახიშვილს, ინანიშვილს და ა. შ. როდესაც სკოლას წაართმევ გოგებაშვილის „დედა ენას" და მათ ადგილზე ბერძენიშვილის და მისთანა ჰიბრიდებს დასვამ და მათ მენტალურ სამყაროში შეიყვან თაობებს — კიდევ უარესად იქნება ქვეყნის ბედისწერა...

●

კიდევ ვიტყვი:

ამაოა ყოველგვარ ეკონომიკაზე, ყოველგვარ კულტურაზე, ყოველგვარ სახელმწიფო უშიშროებაზე ფიქრი, ვიდრე ეს „პანდორას ყუთები" აინფიცირებენ ქვეყანას და მის „სულიერ მდელოებს".

ან რა გამჭვირვალობა და საგანგებო თვალთვალი სჭირდება ჩვენს ქვეყანას აკვარიუმის თევზებივით? ერს უნდა ჰქონდეს შეუვალი, საიდუმლო და იგი დაცული უნდა იყოს საკრალური სიბრძნით, რომელიც არასოდეს გახდება ცნობილი „მოთვალთვალე სფინქსისთვის"...

სამწუხაროდ:

ხელისუფლება ხელისუფლებას არ ჰგავს ამათ შანტაჟზე წამოგებული. საზოგადოება საზოგადოებას არ ჰგავს ამათი ინფორმაციით ზომბირებული და გაჟღენთილი და მოწამლული.

რა ვქნათ, არ გავიღვიძოთ? არ მოვიცალოთ ამ ბღერთა ჩამოსაბერტყად? სულ ასე უნდა ვიყოთ, ამათ სიცრუეში, ამათი ცილისწამების ბურუსში, ამათ ღალატში თავზე „ობდაყრილი"?!

არ უნდა ვიყოთ!

●

ვიტყვი სენტენციის სახით:

არასამთავრობოები ანგრევენ სისტემას, რასაც სახელმწიფო ჰქვია!

ლიბერალიზმი და კონფორმიზმი ანგრევს ზნეობრივ სივრცეს, რაც სახელმწიფოს მორალის და





სამართლის საფუძველია!..

ამას თავისთავად მოსდევს კულტურისა და რწმენის (რელიგიის) კრიზისი, რაც ერის მენტალობის და იდენტობის მთავარი მახასიათებელია.

დანაშაულის დავიწყება, ბოროტებასთან „კოჰაბიტაციური" რეჟიმი ანგრევს ერის ფსიქოლოგიას და ცვლის მისი ქცევის ზნეობრივ კოდექსს.

„გამოხატვის" და ქცევის თავისუფლება საზოგადოებას აახლოებს ველურ ბიბლიამდელ დროსთან, როდესაც იგი ჯერ კიდევ ნახევრად მაიმუნი იყო და „ლედის ფოთოლიც" არ სჭირდებოდა სირცხვილის (თუ სარცხვენელის) დასაფარად.

გაზვრეტილი ცხვირები, ჭიპები, ტუჩები, ამოხეულ-ჩახეული ჯინსები, ნუდისტურ-ლესბოსური ენებანი აახლოებს ქვის ხანის ნეანდერტანელებთან ჩვენი დროის ლიბერასტებს.

●

ახლა კვლავ მწერლობას მივუბრუნდეთ:

ერის მორალს მწერლობა აყალიბებს.

ეროვნულ სივრცეზე ზნეობრივი პერსონაჟები უნდა მოძრაობდნენ. ერი ცოცხლობს და ყალიბდება ზნეობრივი მაგალითებით. მწერალს შეუძლია ერის გადარჩენა!

მაღალი რანგის მწერალთა პერსონაჟები მაღალზნეობრივი არიან — ისინი ასხივოსნებენ, ასწორებენ და აწონასწორებენ ერის საარსებო სივრცეს და ხორციელი ვნების „ლობიდოს"!

●

შეიძლება ითქვას: მეორე ათასწლეულის საქართველო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა" გადაარჩინა! ეს იყო მორალის წიგნი, ზნეობის, ღირსების, სიყვარულის, ერთგულების, ძმობის და სამშობლოს დაცვის, ანუ ფატალური მტრის წინააღმდეგ საკრალური ომის მისტერია!..

ვაჟა-ფშაველას ყველა პერსონაჟი ზნეობრივი გმირია, არც ერთი მათგანი არ გადის ზნეობრივი რკალიდან...

ასევე ილიას, ყაზბეგის ყველა პერსონაჟი ამკვიდრებს ზნეობრივ მაგალითებს.

ისინი არ უშვებენ ვულგარულსკაბრეზულ სიტყვათა და ფორმათა ინტერვენციას (ძალადობას) საზოგადოებაზე, არ ამყოფებენ საკუთარ ერსა და ქვეყანას ზნეობრივი გაურკვევლობის და სიცრუის ქაოსში...

●

სად არის მაღალმხატვრული ნაწარმობების გასაღები: სტილისა და მანერის ორიგინალი დრამის სიმძაფრეში თუ მოვლენის ვულგარიზაციაში? რა შეიძლება ეწოდოს იმას, რასაც დღევანდელი ლიტერატურის პარაზიტები ქმნიან? „უნიტაზური მწერლობის" ახალი ნაკადი საკუთარ თავს თავადვე რომ მიარქვეს... რას მატებენ, რას აძლევენ ისინი სამშობლოს — როგორ შველიან საკუთარ ხალხს და ქვეყანას? რა არის, ზოგადად, მათი არსებობის აზრი და მწერლური მისია? არაფერი!.. ეს სიტყვა კარგად მიესადაგება ამ მართლაც „არაფრებს" და ყველაფერი ის, რაც საზიანოა საკუთარი ერისთვის და მისი მორალისთვის!

XIX საუკუნის დაცემული საქართველო ილიამ, ვაჟამ, გოგებაშვილმა, აკაკი წერეთელმა, ალექსანდრე ყაზბეგმა და მათმა თანამებრძოლებმა ააყენეს ფეხზე და გადაარჩინეს. ეს მართლაც ასეა!

●

როცა ქართულ მწერლობაზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ ერთი მეტად საყურადღებო ისტორიული ფაქტი:

1937 წელს საკავშირო კულტურის ფორუმზე მოსკოვში (სადაც მთელი მსოფლიო იყო მიწვეული) საქართველოს ხელისუფლებამ იქ წარადგინა პროლეტარული მწერლები და ზედ საგანგებოდ გამზადებული მოხსენებაც მიაყოლეს.

რა თქმა უნდა, სტალინი გაეცნო ამას და უთხრა, რომ ეს არ არის სიმართლე, ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორია XX საუკუნიდან არ იწყება. მან იკითხა: სად არის „შუშანიკის წამება", გურამიშვილი, ილია, ვაჟა და სხვანი?!

სტალინის ამ დამოკიდებულებამ მთლიანად შეცვალა ქართული დელეგაციის ამოცანა. იმავე ღამეს ტიციანმა ახალი მოხსენება მოამზადა. ფაქტობრივად, აქ მოხდა სოციალ-დემოკრატების მიერ დისკრედიტებული ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცია!..

ამ ფორუმმა მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია: კრემლის საზეიმო დარბაზში შოთა რუსთაველის სურათი ბრწყინავდა და ქართული ისტორიული კულტურა ზეიმობდა — სტალინმა მსოფლიოს დაანახა ქართველი ერის ტალანტი.

●

ახლა რა ხდება? ვის აგზავნიან მსოფლიო კულტურის ფორუმებზე და ბიენალებზე, იგივე სტრასბურგის ქართული კულტურის დღეებზე ჩვენი ხელისუფალნი? ეტყობა, ისევ ჩვენი დროის „ლიბერასტები" მიემართებიან ევროპულ ცივილიზაციებთან შესახვედრად, რომ საკუთარი „უნიტაზების" „პოეზია და მუსიკა" გააცნონ!..

●

ხელისუფლების და კერძოდ, კულტურის სამინისტროს საყურადღებოდ ვიტყვი, მაინც და მაინც სტალინი უნდა იყო, რომ ისეთი რამ ჰქმნა, რაც მან მოიმოქმედა იმ დროს?!

განა შეუძლებელია, რომ იგივე დღემის გადაჭრა ახლა რომელიმე სახელმწიფო მოღვაწემ რომ გაბედოს?!

შეაჩეროს „ფეკალური ნაკადების" „გადინება" და დაფინანსება.

●

— ენა, მამული, სარწმუნოება! — ბრძანა ილია მართალმა.

— ღმერთი, სამშობლო, ადამიანი! — იქადაგა ილია II-მ.

ამ ლიბერასტებმა —„უნიტაზებმა" კი მოლიანად ამოაგდეს ეს მცნებები თავისი „ზნეობრივი" კოდექსიდან და „საიდუმლო სირობა" დაგვიწერეს!

ჩვენ კიდევ ბევრ რამეს შეგვკადრებენ ესენი, ვიდრე ასე „თვინიერი" ვიქნებით.

საზოგადოება შეაჩვიეს „ძალადობას" და „შიშბალს"... და „დედის უნიტაზზე" ჯდომას...

„მწერლებმა" და მათ მიმგვანებულმა ჰიბრიდებმა და კლონებმა, ფაქტობრივად, მოწამლეს და ამაყაყეს ქვეყანა!... ააცდინეს ახალი თაობა გზას და მისიას... ყოველ დილას და საღამო ყველგან: მასმედიის და ინტერნეტის ეკრანებზე ჩამოკიდებულმა ამ „პანდორას ყუთებმა" „შავი ჭირის ვირუსი" გაუჩინეს საზოგადოებას.

●

ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ვეუბნებით: მიეცით კეისარს კეისრისა!

თორემ დადგება დრო, ჩამოივლის უფალი ურმით და ქვეყანას მოჰკითხავს სიბრძნეს, ჩამარიგებს თითო „კვერს" და არაფერი შეხვდება მსუყე სექსის მოყვარულ ჩიჩოვნიკს, არც ლიბერასტთა სექტებს, არც ნაცემზე გადამჯინილ შალიკოებს!..

●

დასასრულისთვის ვიტყვი: ქვეყანას, სახელმწიფოს, ქართველ ერს სჭირდება ძლიერი ქართული ეროვნული ტელევიზია, რომელიც ააცდენს სულიერ (მენტალურ) გადაბრებს.

ეროვნულმა ტელევიზიამ უნდა გაასუფთაოს ზნეობრივი სივრცე და ეკრანზე გამოაჩინოს მამულისთვის მოღვაწე, ღირსეული ადამიანები, მწერალნი, ხელოვანნი, მეცნიერნი, საზოგადო მოღვაწენი...

არავინ დაუჯეროს, მით უფრო პარლამენტმა, იმ ყვავებს, რომლებიც იბრძვიან ტელევიზიის „გაქართულების" (ეროვნულობის) წინააღმდეგ და განსაკუთრებით იმ „შავ ყვავს", რომელმაც სატელევიზიო სტუდიიდან პირდაპირ საპყრობილეში წააყვანინა პატრიოტები...

●

ჩვენ მალევე, დაუყოვნებლად, უნდა მოვიწვიოთ მწერალთა, კულტურის და საზოგადო მოღვაწეთა ეროვნული კონგრესი (ფორუმი) და ვიმოქმედოთ გაბედულად რომ დავუპირისპირდეთ ამ აპოკალიფსს...

ჩვენ უნდა გავიდეთ ამ აპოკალიფსიდან, როგორც ლოტი სოდომის ქალაქიდან — უკან მოუხედავად,!.. თორემ დავიღუპებით...

# მკითხველის ფოსტა

## რატომ მიერეკებიან გახარიას სააკაშვილისკენ „ქართული ოცნების" მარეკები?

**შეიძლება, ბევრი რამ, რასაც გახარიას, როგორც პრემიერ-მინისტრს, როგორც შს მინისტრს, ნაკლად და სისუსტედ უთვლიან, სწორია, თუმცა მაინც პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: რატომ ცდილობენ ასე დაჟინებით, გახარია მაინცდამაინც სააკაშვილთან დააკავშირონ, სააკაშვილის თანამოაზრედ წარმოაჩინონ და როგორმე „შთააგონონ" მას და როგორმე „დააჯერონ", რომ ის სააკაშვილის პარტნიორია.**

**ძველად სამონადირეო საქმეში არსებობდა ასეთი „პროფესია" — მარეკები.**

**მარეკები ხმამაღალი შეძახილებით, ხმაურითა და ყიჟინით ნადირს აფრთხობდნენ და სპეციალურად შექმნილი ხელოვნური კორიდორით იქით მიერეკებოდნენ, სადაც მონადირეები იყვნენ ჩასაფრებულნი.**

**გახარიასაც ასე მიერეკებიან „ქართული ოცნების" მარეკები, სააკაშვილისკენ, რომელიც ზის ჩირგვებში და ელოდება, როდის გამოჩნდება მის თვალსაწიერში მარეკებისგან ოტებული ყოფილი პრემიერი.**

**რა ქნას ადამიანმა, როცა ერთი გზის გარდა სხვა გზას არ დაუტოვებ, ეს ერთადერთი გზა კი მტრის ბანაკისკენ მიდის?**

**გახარიამ შეცდომა დაუშვა, როცა იმ მოტივით გადადგა, რა მოტივიც წასვლის მიზეზად დაასახელა.**

**არავითარი შეთქმულება და არანაირი თანამშრომლობა გახარიას მხრიდან სააკაშვილთან და „ნაცმოძრაობასთან" არ ყოფილა.**



**მას, უბრალოდ, შეეშინდა, რომ მელიას დაპატიმრებისას შეიძლება ძალიან ცუდი ამბები მომხდარიყო და ეს ამბებიც მთლიანად მას დაბრალებოდა, როგორც 20 ივნისის ამბები დაბრალდა.**

**გახარიას, გადადგომის გარდა, სხვა არჩევანიც ჰქონდა, მაგრამ მან მისთვის ყველაზე წამგებიანი გზა — პოლიტიკური ხარაკირის გზა აირჩია.**

**მან, როგორც ვთქვით, გადადგომით მძიმე შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს არ იკმარა და სულ მალე ერთ შეცდომას მეორეც მოაყოლა.**

**ამ მეორე შეცდომას პოლიტიკური პარტიის შექმნა და პოლიტიკაში დაბრუნება ჰქვია.**

**გახარიას შეეძლო, ეს ნაბიჯი დროის რაღაც მონაკვეთის შემდეგ გადაედგა, მაგრამ, როცა გუშინ ხელისუფლებაში იყავი, თანაც უმაღლეს პოსტზე, დღეს კი ოპოზიციაში მიდიხარ, იმაზეც ხომ უნდა დაფიქრდე, ვისი ოპოზიცია იქნები? საკუთარი თავის? ანუ, ერთხელ გაკეთებული ხარაკირი ხელმეორედ უნდა გაიკეთო?**

**გახარია არც ივანიშვილის პროექტია და არც სააკაშვილის — ის საკუთარი შეცდომების პროექტია.**

**ასე რომ, ნუ აწვებით ამ კაცს ზურგში და იქითკენ ნუ მიერეკებით, საითკენაც მას წასვლა არ უნდა.**

გიგი გელაშვილი

თბილისი

# ქართველებო, დარჩით საკუთარ ქვეყანაში!

საქართველოს დღეს 2 მილიონამდე ემიგრანტი ჰყავს, რომელთა უმრავლესობა შრომით ემიგრაციაში იმყოფება.

შრომითი ემიგრანტები აწყობთ ხელისუფლებებს. ადგილობრივს იმიტომ, რომ ჩარიცხული თანხები სახელმწიფოსაც ხმარდება, უცხო ქვეყანას კი იმით, რომ მათი ბიუჯეტიც მდიდრდება და შოულობს იაფ მუშა-ხელს, რომელიც არის აბსოლუტურად უპრეტენზიო და უუფლებო და მასზე იმ სახელმწიფოს არავითარი ვალდებულება არ აქვს, პოლიტიკური დევნილებისგან განსხვავებით.

სამწუხარო რეალობაა: დამამცირებელი, უუფლებო მდგომარეობა პრივილეგია გახდა...

ამ ფაქტს მრავალი კუთხით შეიძლება შევხედოთ — ეკონომიკური თვალსაზრისით, როგორც ადამიანის შრომის მინიმუმამდე დაყვანის მცდელობას — ანაზღაურების შემცირების მიზნით, როგორც ერების დაკაბალების საშუალებას, როგორც ადამიანის, პიროვნების, გონიერი არსების საჭიროებისამებრ გამოყენების, ან მისი ფუნქციების მინიმალიზაციის, ადამიანის მორალური ტრანსფორმაციის და კიდევ მრავალი სხვა კუთხით, რომლებიც ცალ-ცალკე განხილვას და მსჯელობას საჭიროებს.

რა სარგებელი მოაქვს, კონკრეტულად, საქართველოსთვის იმ 2 მილიონ ემიგრანტს, რომლებიც ათეული წლებია, ქვეყნიდან გადახვეწილნი არიან?! დაახლოებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ემიგრაციიდან ქვეყანაში, ყოველწლიურად, 3 მილიარდი დოლარი იგზავნება და ეს თანხები, როგორც მდინარე, ქვეყნის ბიუჯეტისკენ მიემართება.

ყველაფერი ადგილობრივი ხელისუფლების ბრალია, მათ არ შექმნეს სამუშაო ადგილები, არ ააგეს ფაბრიკა-ქარხნები, ადამიანებს არ მისცეს ამ ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების და არსებობის საშუალება.

დიახ. დიახ. გეთანხმებით. მართალია, ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს არის ერთი შეხედვით და მხოლოდ ცალხმრივად.

წერილის დასაწყისში მე ჩამოვთვალე ემიგრაციის სარგებლიანობა ქვეყნებისთვის და ვსვამ კითხვას: ვის, რომელ სახელმწიფოს აქვს უფრო მეტი და დიდი მოგება ემიგრაციისგან — იმ ქვეყანას, საიდანაც ემიგრაცია ხდება თუ იმ ქვეყანას, სადაც ემიგრირება მიმდინარეობს?

ჩემი მეგობარი ელენე შარშანწინ თურქეთში წავიდა სამუშაოდ. ცოტა ხანში გახარებულმა მომწერა: სამუშაო დავიწყეო. სად მუშაობ, რას აკეთებ-მეთქი? — ფაბრიკაში ვმუშაობ, სადაც ჯინსის შარვლებს კერავენ. ერთ კვირას ვკერავ სპეციალურ მოდელზე გამოჭრილ ნაჭრებს, მომდევნო კვირას შეკერილ შარვლებს ვკეცავთ და ვაფასოებთ. ანაზღაურება ერთ კვირას შეკერილი შარვლების რაოდენობაზეა, მომდევნო კვირას — შეფუთულებისო. მშვენიერი ანაზღაურება მაქვს, კმაყოფილი ვარო.

ელენე კმაყოფილია. საწარმოც კმაყოფილია, თურქეთის სახელმწიფოც და მისი ბაზარიც კმაყოფილია. უკმაყოფილოა ელენეს დედა და მამა — შვილი მოშორებულია ოჯახიდან, უცხო ქვეყანაშია, უკმაყოფილო შეიძლება არა, მაგრამ დაზარალდა სახელმწიფო, რომელსაც მოაკლდა ახალგაზრდა მუშა-ხელი, მაგრამ თავს იმით იმშვიდებს, რომ ემიგრანტის გამოგზავნილი ფული წარმგზავნელ სახელმწიფოში იხარჯება. მერე, იმ უცხო ქვეყნიდან შემოტანილ საქონელს ან პროდუქციას რომ მოქალაქე შეიძენს, ამ თანხის ნაგლეჯი დარჩება ქვეყანაში და ეს სულ არაობას კი ჯობია...

ჭკუათმყოფელი ხელისუფალი კარგად მიხვდება, რომ ემიგრაცია მისთვის ხელსაყრელი არაა,ამიტომ, თუ რეალისტურად მივუდგებით, არც ერთ ხელისუფალს არ უნდა აწყობდეს ქვეყნიდან მოქალაქის განდევნა შრომით (მით უფრო, პოლიტიკურ) ემიგრაციაში, რადგან მოქალაქეს, რომელსაც ასაქმებ თავისივე ქვეყანაში, ის, იმის გარდა, რომ საკუთარი ნაშრომის გულშემატკივარი ხდება და ცდილობს „დაიცვას" თავისივე ნაშრომი, ამასთანავე, ცდილობს დაიცვას სახელმწიფოც და ის ხელისუფლებაც, რომელმაც დაასაქმა და ლუკმა-პური გაუჩინა.





მუშა ან გლეხი, თავის მიერ შექმნილი პროდუქციის რეალიზებით ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ იმ ქვეყნის ბიუჯეტს ზრდის და თუ ჩვენს ხელისუფლებაში, სამწუხაროდ, გაუმაძღარნი მოდიან, იმ „გაუმაძღრებმა" შესანიშნავად იციან ბევრის და ცოტას გარჩევა... გამოდის, რომ ქვეყნიდან მოსახლეობის შრომით ემიგრაციაში წასვლა არის არა ადგილობრივი ხელისუფლებების უნიათობის, გულგრილობის, სიზარმაცის, ტყუილი დაპირებების, ან მავნებლობის, რაც გინდათ, დაარქვით, ბრალი, არამედ სხვა ჩანაფიქრი, სავარაუდოდ, მსოფლიოს გლობალისტური, ან ტრანსნაციონალური კორპორაციების თეორეტიკოსების ტვინების დასკვნების შედეგი. სხვა შემთხვევაში, არც ერთი ხელისუფალი ასეთ სტიქიურ ემიგრაციას არ დაუშვებდა.

ხელისუფლებებსა და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მართავენ მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკას, არ სჭირდებათ მოაზროვნე და განათლებული ადამიანები. ეს, პირდაპირ, კატასტროფაა, რადგან ის, აზროვნების საშუალებით, ხვდება ამ უსამართლობას და ძნელი ხდება მისი დამორჩილება, დამცირება, მენტალურ და ფიზიკურ დონეზე მონად ქცევა. მას უფრო ფართო ღირებულებებზე ეწყება ფიქრი, ვიდრე მხოლოდ ფული, სექსი და ჭამაა.

როგორც ნათლად ვხედავთ, ადამიანების ცხოველის დონეზე დაყვანის მიზანმიმართული, მუხლჩაუხრელი ბრძოლა მიმდინარეობს, მაგრამ, ეს არაა ახლა ჩვენი წერილის თემა...

ფულზე გამახსენდა, სხვათა შორის, ინტერნეტ-სივრცეში ამას წინათ ვიდეოსიუჟეტი ვნახე, სადაც მოხმარებიდან ფულის ამოღების თაობაზე მიმდინარეობდა აქტიური საუბრები.

მაგრამ, რას ემსახურება, საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს, იმის გარდა, რომ ადამიანების გონებრივი და ფიზიკური გამოფიტვა ხდება, ამდენი შრომით, ნერვიულობით და შრომის შედეგს რომ ვერ ხედავს, თავდაუზოგავი მცდელობების მიუხედავად, შეიძლება, თავად ვერ იაზრებს, მაგრამ ნელ-ნელა ცოცხალი კონვეიერი ხდება, მერე კი საერთოდ „გადასაგდები" — არც იმ ქვეყნისთვისაა საჭირო, სადაც მუშაობს, არც იმ ქვეყნისთვის, სადაც დაიბადა და აღარც ახლობლებისთვის.

ემიგრაციაში, ცხადია, მხოლოდ ქართველები არ მიდიან. საქართველოში უამრავი ჩინელი, ინდოელი, შავკანიანი თუ ყვითელკანიანია ჩამოსული, მაგრამ ჩვენ ახლა ქართველებზე და საქართველოზე ვლაპარაკობთ.

არავის აქვს ილუზია, რომ 21-ე საუკუნეში, ან თუნდაც, ნებისმიერ საუკუნეში, ადამიანი ჩაამაგროს, მიაწებოს და მიაჯაჭვოს ერთ კონკრეტულ ადგილს. ადრე რომ ვამბობდი, ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში უძველესი პროტო-ქართული ტომების განფენის თაობაზე, რაზეც მეცნიერთა და მკვლევართა უდიდესი კოჰორტაც ლაპარაკობს, ეს იყო ხან იძულებითი, ხან ნებაყოფლობითი გადასვლა ხან ზღვით, ხან — ხმელეთით მეზობელ და არამეზობელ ქვეყნებში, თვით იტალიაში, საბერძნეთში, კვიპროსზე, ესპანეთში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გადიოდნენ ქართველები. ეს ბუნებრივი კანონზომიერებაცაა და სისხლის ერთგვარი განახლება, ბიოლოგიური თვალსაზრისით.

ერების შერევა და შეთქვეფა კაცობრიობის განახლების აუცილებელი პირობაა და ამის შეფერხება შეუძლებელია, მაგრამ აქ არის კიდევ ერთი მაგრამ.

მრავალ გონიერ კაცს უთქვამს, რომ საქართველო არის ნათელი გონების საგანძური და ტვინების დაუშრეტელი წიაღისეული, როგორც თეთრი რასის სამშობლო და ის, ცხადია, სჭირდებათ, როგორც გენერატორი, სჭირდება მსოფლიოში ადამიანებს, როგორც ინდივიდებს, რასებს, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი ფიზიკური განადგურების ხარჯზე, რაც აბსოლუტურ რეალობად გვიჩანს, თუ ჩვენ ნებაყოფლობითი ემიგრაცია არ შევწყვიტეთ.

ერთ პატარა ამბავს მოვყვები:

მეზობელი მყავს ერთი, უკეთილშობილესი ოჯახი, მშრომელი, პატიოსანი, პატრიოტი, კეთილი ხალხი. შვილიშვილი ჰყავთ, გიორგი (პირობითი სახელია), რომელიც ისეთი გენიოსი აღმოჩნდა მათემატიკაში, ჯერ ხომ სიხარულით მიიღეს კომაროვის მათემატიკურ სკოლაში, მერე მის გაცილებაზე იყო ვაი-ვიში, მასწავლებლებს ენანებოდათ გასაშვებად, არადა, სკოლა დაამთავრა შარშან ზაფხულს. გიორგიმ მონაცემები ამერიკაში გააგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. ამერიკელმა პროფესორებმა ტესტ-გამოცდები ჩაუტარეს და თვითონ და მისი ერთი კლასელი ბიჭი კემბრიჯში, ჰარვარდის უნივერსიტეტში მიიწვიეს უმაღლესში უფასოდ ჩასარიცხად. სიხარულით ცას ეწივნენ ჩემი მეზობლები. ამაზე ვერც კი იოცნებებდნენ. მაგრამ არ იყო ფული, რითაც გიორგის ამერიკაში გააგზავნიდნენ, იქ რომ ცოტა ხანს თავის გატანა შეძლებოდა. გაყიდეს კასპთან ახლოს სახლი თავისი ეზოთი, ნარგავები, ბაბუამისის ბაღი და ბოსტანი და წავიდა გიორგი ამერიკაში. ერთ თვეში გაოგნებული მეცნიერების წერილი მოვიდა. ასაკოვანი ამერიკელი პროფესორი წერდა: 50 წელიწადია, მათემატიკურ სკოლას ვხელმღვანელობ ჰარვარდის უნივერსიტეტში. მსგავსი ფენომენი არასდროს შემხვედრიაო.

გიორგის უფასოდ მისცეს ბინა, მასწავლებლები წიგნებს მჩუქნიანო, პირველ კურსზევე, ორიოდე თვეში მისცეს სტუდენტის პრემია, რაც იშვიათია იქ თურმე. მეტიც, 17 წლის გიორგის ლექციებს ატარებინებენ უფროს სტუდენტებთან. ჩართეს ნასა-ს პროგრამაში და გიორგი ახლა ნასა-ს კვლევებში იღებს მონაწილეობას და შეგახსენებთ, ის ჯერ სულ რაღაც 17 წლისაა...

უამრავი გიორგია წასული საქართველოდან და უმრავლესი მათგანი საქართველოში აღარ დაბრუნდება. ისინი თავიანთ ნიჭს, ენერგიას, ახალგაზრდობას სხვა ერებს, სხვა სახელმწიფოებს მოახმარენ...

ინტელექტუალებით, სხვა მოთხოვნების შესაბამისად, ჯანღონით სავსე ახალი ქართველი მამლუქები მიედინებიან და მიედინებიან და გაივსო ახალი მოხმარების ქართული მამლუქებით და მონებით მსოფლიო ბაზარი.

საქართველო კი სულს ღაფავს, ყველა დარგში სპეციალისტების დეფიციტია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მუშებისაც კი...

თუ ემიგრაცია ერების გათქვეფას, ანუ მსოფლიოში აქეთ-იქით, მაპატიეთ უხეში შედარებისთვის და, ხეტიალს ნიშნავს (საბოლოოდ მაინც ეს განმარტება მიეცემა ისტორიაში), მაშინ რაში სჭირდებათ ამდენი რესურსის ხარჯვა სუპერსახელმწიფოებს?!

პასუხი თავად გექნებათ და მეც გამიზიარეთ.

მე კი ერთს დავძენ: ქართველებო, დარჩით საკუთარ ქვეყანაში. საკუთარ მამულს, დამცირებულ და შემცირებულ ქართველებს ამოუდექით მხარში. ამაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებთ!!!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# დიდი დაღრეცილობა ბესიკ ხარანაულის პოეზიაში

ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ბოლო დროს აშკარად დიდი დაღრეცილობაა. ამას მე არ ვამბობ, თავად ბატონი ბესიკი აცხადებს, ირგვლივ დიდი დაღრეცილობაა, დაგვრჩა ქალაქი კვლავ ემმა-ქაჯებსო, შეუხედავ, უშნო, უგულო ქალ-კაცებსო.

უნდა ვაღიარო, ბესიკ ხარანაულმა, ცნობილმა პოეტმა ბევრი კარგი ლექსი დაწერა, მაგრამ შემდეგ დადგა რაღაც პერიოდი და როგორც უკვე გითხარით, რაღაც ალოგიკურობა შეეყარა. როდესაც ვამბობ, ალოგიკურობა შეეყარა-მეთქი, ეს ძალიან რბილად ნათქვამია, სინამდვილეში მის პოეზიას ობი და სიშტერე მოსდებია. როდესაც მისი ერთ-ერთი ბოლო ლექსი წავიკითხე, რომელიც რიონის ხეობის ე.წ. მცველებს მიუძღვნა, არ დავიჯერე, ვერ დავიჯერე, ვიფიქრე, ამ პოეტს ჩავარდნები კი აქვს, მაგრამ ასეთ მდარე რამეს მაინც არ დაწერდა-მეთქი. სამწუხაროდ, დაწერა, ათასჯერ გადავამოწმე და მართლა დაწერა, ჯერ საკუთარი თვალით ნახეთ, დანარჩენზე კი შემდეგ ვიმსჯელოთ:

**„ბედნიერი რიონის ხეობის**
**მცველები ჩამოვიდნენ**
**რიონის ხეობის მცველები**
**წავიდნენ.**
**დაცარიელდა ქალაქი.**
**ნაგავს სიამოვნების**
**ჟრუანტელმა დაუარა,**
**მიაშურა კვლავ თავის სივრცეს,**
**დაიკავა თავისი ადგილი**
**შეაკრთო სუფთა ჰაერმა, ხეობის**
**სიომ ნესტოები დასწვა, მაგრამ**
**გადაიარა და დაგვრჩა ქალაქი**
**კვლავაც ემმა-ქაჯებს,**
**შეუხედავ, უშნო,**
**უგულო ქალ-კაცებს.**
**არის დიდი დაღრეცილობა.**
**ვიცი, მოგვენატრებიან.**
**დარცხვენილი ვერ ვივლით.**
**აქ კი, ვჭამოთ,**
**რასაც მივჩვეულვართ,**
**ვჭამოთ და არ გვეყოს,**
**წავიდეთ და ნესტოებმა**
**უკან მოგვაბრუნოს.**
**კაცს სუფთა ჰაერი**
**უფრო ენატრება,**
**ვიდრე ქარი და ქარიშხალი,**
**სუფთა ჰაერს რომ ჩაისუნთქავ,**
**არ გავიწყდება, თან გაეკიდები.**
**დარცხვენილი ვერ ვივლით!**
**სიმართლისგან მოჭრილი**
**ხელი კაცს არ ეტკინება.**
**წავიდნენ რიონის ხეობის**
**მცველები და დაცარიელდა**
**ქალაქი.**
**მაგრამ ხომ დავრჩით!**
**ერთი კაცის პირით**
**არ ვამბობ ამას,**
**არამედ მრავალი ათასის.**
**ისტორია ყოველ წამს ახალია,**
**ფეხს ვერ დაუდებ.**
**შენ კი, ურჩხულო!**
**უსახლკაროვ, უმიწაწყალოვ,**
**გამოდი, უნდა მე და შენ შევებათ,**
**სახელი არა გაქვს,**
**სახელს გაიკეთებ!**
**გამოეტიე მაგ კლდის ეხიდან,**
**განწირული მოგმართავს სიტყვას,**
**განწირული არ მოიქრთამება!**
**მე შეგებმები,**
**ჩემი ხალხი იავარქმნილია,**
**ბებერი ვარ და სიცოცხლე**
**ჩალად არ მიღირს,**
**გამოდი, ციცავ,**
**სახელს გაიკეთებ!**
**ჩემი ვეფხვი გვერდზე მიწოლილა,**
**წამოიწევს, წამოიმართება,**
**შენ კი გაქრი უკანა თათებზე...**
**წავიდნენ რიონის**
**ხეობის მცველები**
**და ქალაქი დაცარიელდა.**
**ვიცი, მომენატრებიან,**
**დარცხვენილი ვერ ვივლი!**
**ჩემი ტანმოხატული ვეფხვები,**
**ბედნიერი რიონის**
**ხეობის მცველები“.**

მოდით, ერთი კარგად, ანუ საფუძვლიანად ჩავუჯდეთ ბატონ ბესიკის ამ „შედევრს" და გავშიფროთ, რის თქმას ცდილობს პოეტი, რის თქმა უნდა და არ გამოსდის? დავადგინოთ, რატომ აერია ბოლო დროს რითმა, რიტმი, აზრი, გონი, წყობა და მარცვალთა რაოდენობა? მას (თავისი ჭკუით) პირველივე სტრიქონებში ლიტერატურული აღმოჩენა აქვს გაკეთებული. ამას ადრე ლიტერატურულ მიგნებას ეძახდნენ. ისაო, ბედნიერი რიონის ხეობის მცველები ჩამოვიდნენ რიონის ხეობის მცველები წავიდნენო. შეცდომა: „ბედნიერი რიონის ხეობის მცველები". უნდა დაეწერა: „რიონის ხეობის ბედნიერი მცველები". მისი შეცდომის წყალობით, ბედნიერები გამოდიან არა მცველები, არამედ ბედნიერია რიონის ხეობა. კარგი, ასეთი შეცდომები ბევრს მოსდის საქართველოში, ამასაც ვაპატიოთ და გადავიდეთ უფრო უხეშ გამოხტომებზე, ანუ უპატიებლებზე. თუმცა აქვე ვიკითხოთ, რაში მდგომარეობს პოეტის ლიტერატურული მიგნება? „ჩამოვიდნენ რიონის ხეობის მცველები წავიდნენ". დაუკვირდით, მან ბოლო სიტყვის წინ მძიმე არ დასვა და გვეუბნება, ჩამოვიდნენ წავიდნენო. ჩემი აზრით, ეს მიგნება კი არა, პოეზიაში ვეღარ გაგნებაა, მაგრამ იყოს ისე, როგორც ხარანაულს უნდა... ჩვენი რა მიდის?

მოკლედ, პოეტის თქმით: „რიონის ხეობის მცველები წავიდნენ და დაცარიელდა ქალაქი. ნაგავს სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა, მიაშურა კვლავ თავის სივრცეს, დაიკავა თავისი ადგილი... დაგვრჩა ქალაქი კვლავაც ემმა-ქაჯებს, შეუხედავ, უშნო, უგულო ქალ-კაცებს".

რაღა დაგიმალოთ და... ამ წუთამდე თავს ვიკავებდი, ვფიქრობდი, ისეთი არაფერი წამომცდეს, „ჰასაკოვან" პოეტს გული ვატკინო-მეთქი. ამას ახლაც კი ვფიქრობ, მაგრამ ამავე დროს თავს ვგრძნობ შეურაცხყოფილად!

კარგად წაიკითხეთ, რას წერს ბატონი ხარანაული? ჩამოვიდნენ თბილისში ნამახვანჰესის მშენებლობის გაქეზებული მოწინააღმდეგეები, თბილისელებმა მხარი არ აუბეს, რუსთაველზე სარევოლუციო განწყობა ვერ შექმნეს, გაბრუნდნენ უკან გაბითურებულები და რა, დაგვრჩა თურმე ქალაქი კვლავაც ემმა-ქაჯებს, შეუხედავ, უშნო, უგულო ქალ-კაცებს. ესე იგი, ხარანაულის აზრით, ჩვენ ვართ უშნო და უგულო ქაჯები. თუ ვინმეს ეწყინება, ცივი წყალი დალიოს... მე კი მგონია, დარწმუნებულიც ვარ, რომ ყველაზე დიდი ქაჯი არის ამის დამწერი! ვიცი, პოეტი სავარძლიდან წამოხტება და განაცხადებს, ეს მხოლოდ პოეტური ხედვაა, ალეგორიაა, გადაკრულად ნათქვამია, ვამბობ ერთს, იგულისხმება მეორეო. აი, მე ხარანაულის ალეგორიები საერთოდ არ მაინტერესებს, ის პირდაპირ ამბობს, წავიდნენ რიონის ხეობის მცველები და დარჩა ნაგავიო. არა, კი დატოვეს ბლომად ნაგავი ნამახვანჰესის მშენებლობის წაქეზებულმა მოწინააღმდეგეებმა, მაგრამ ჩვენ რატომ ვართ უშნო ქაჯები, რატომ გვიყენებს ასეთ მძიმე ბრალდებას? გარდა ამისა, ბატონი ბესიკიც (ეს ის ბესიკი არ გეგონოთ, მე-18 საუკუნეში ლექსებს რომ თხზავდა და გვარად გაბაშვილი იყო. იმას ეგეთი გადახრები არ ჰქონდა) „ნაცმაცუნურ" ტალღაზეა და ფიქრობს, რომ მისი დედულ-მამული იავარქმნილი და აწიოკებულია? გამოდიო, ეძახის ვიღაცას, თუმცა არ აკონკრეტებს... გამოდი, მე ბებერი ვარ, სიცოცხლე ჩალად არ მიღირს, მე შეგებმებიო. ფაქტია, იმას ემუქრება, ვისაც საქართველოში ჰესის აშენება უნდა. სხვათა შორის, როცა ენგურჰესი შენდებოდა (1961–1967 წლები), ხარანაული 22–28 წლის ტალიკა ბიჭი იყო, საინტერესოა, რატომ არ გააპროტესტა, რატომ ისიც მაინტერესებს, რატომ ჰქვია პოეტის ამ კონკრეტულ ბოდიალს ლექსი, როცა ის ჟანრობრივად პროზაული დაღრეცილობა უფრო გახლავთ?!

გინდათ, ზუსტად გადაგითარგმნოთ, რა აწუხებს ბებერ პოეტს? მას შემდეგ, რაც მისი კუმირი სააკაშვილი საქართველოდან გადაიხვეწა, ძალიან ცუდ ხასიათზე დადგა და სულ ეჩვენება, რომ მისი ხალხი იავარქმნილია. საერთოდ, უნდა იცოდეთ, ეს „ნაცმაცუნური" დაავადებაა — ამ ქვეყანაზე არაფერი არ უნდა მოგეწონოს, ყველაფერ კარგზე გული უნდა აგერიოს და მუდმივად უნდა იძახო, იწუწუნო, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველოში ერთი „ბუტკაც" კი არ აშენებულა. ჰოდა, რა გასაკვირია, როცა არ იმუქრებოდა, გამოდი, ვიღაცავ, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ სიცოცხლე ჩირადაც არ მიღირსო? ჰმ... როგორცა სჩანს, ჭაბუკ ბესიკის ენგურჰესის მშენებლობა გამოეპარა, მაგრამ უშნო და მახინჯმა კომუნისტებმა ჟინვალჰესი რომ ააგეს, მაშინ სად იყო? მით უფრო, იქ მართლა იყო სადავო ამბავი — მე-12 საუკუნის ეკლესია (ჯვარი პატიოსანი) წყლის ქვეშ მოექცა.



### ლირიკული გადახვევა

ჰა, ბესო პაპავ, სად იყავი, კაცო, მაშინ, როცა „ქაჯმა" კომუნისტებმა ჟინვალჰესი ააშენეს, რატო არ გააპროტესტე? ააა... მაშინ ახალგაზრდულ ლექსებსა სწერამდი, არ გეცალა? ეხლა რასა იქმ, გცალია და თანაც მუსკულებში სისხლი მოგაწვა? კარქი ერთი, შეიძლება ეგ სისხლი სულაც არ არი და უბრალოდ ბოღმაა!

●



განვაგრძოთ, მეგობრებო... უფრო სწორად, პოეტი განაგრძობს:, ვიცი, მოგვენატრებიან (ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეებზე ამბობს). დარცხვენილი ვერ ვივლით. აქ კი, ვჭამოთ, რასაც მივჩვეულვართ, ვჭამოთ და არ გვეყოს, წავიდეთ და ნესტოებმა უკან მოგვაბრუნოს".

ნეტავ რას გულისხმობს, რა უნდა ვჭამოთ, ასფალტი თუ ბებიაჩვენისა? ისე, როცა პოეტი ვეღარ აკონკრეტებს, რა უნდა ჭამოს, იმისი საქმე წასულია. იქ ვეღარ გაუგია, ვის უნდა შეებრძოლოს, ვინ უნდა გამოვიდეს ნაპრალებიდან, აქ ვეღარ გაუგია — რა უნდა ჭამოს, რას მიჩვეულა, ან ჩვენ რას მივჩვეულვართ? წავიდეთო და ნესტოებმა უკან მოგვაბრუნოსო. ზოგი იფიქრებს, ეს ძაან მაგარი პოეტური მიგნებააო... აი, ნესტოები უკან რომ მოგაბრუნებს და კუდუსუნი წალმა გაგაქცუნებს, სწორედ ეგაა მამულ-დედული!

კიდევ განვაგრძოთ ბესიკ ხარანაულის ამ ფსევდოპატრიოტული ლექსის, ანუ პრუწუნ-პრუწუნის განხილვა? რა აზრი აქვს? ამ აბრაკადაბრაში იმდენივე სისულელეა, რამდენ სიტყვასაც წაიკითხავთ. გულახდილად გეუბნებით, კიდევ კარგი, კომუნისტებმა მართლა მოასწრეს ენგურჰესის, ჟინვალჰესისა და სხვა მცირე ჰესების აშენება, თორემ დღეს საქართველო ჭრაქზე იჯდებოდა, ნავთის ბიდონებით ვირბენდით. კი, ბატონო, რუსები და თურქები დენსაც მოგვყიდიდნენ, მაგრამ ზამთარში წამდაუწუმ გაგვითიშავდნენ. ხუდონჰესი არ ააშენებინეს, ატეხეს ერთი ამბავი, დაწყებული მშენებლობა გააჩერეს, ახლაც იგივეს აკეთებენ, პატრიოტულად მაიმუნობენ, აშკარად რუსების დავალებას ასრულებენ. ამ დროს ბატონი ბესიკი უშნოდ „პოეზისტობს", არც კი იცის, რას წერს და რეებს მიედ-მოედება. არაუშავს, ვაპატიოთ, მუხამ მიატოვა და რა ქნას, რომელ წყალში განიბანოს, რომელ ნესტოს მოაბრუნებინოს პოეტური მგრძნობელუნარიანობა?! ჩემი აზრით, უკვე გვიანია!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# მედროვეთა დრო, ანუ რატომ გვაქვს ქართველებს ჟამკარი არეული?

1850 წელს სანკტ-პეტერბურგში დამტკიცდა და გამოიცა „ბარხატნაია კნიგა“ („ხავერდოვანი წიგნი“), სადაც ოფიციალურადაა დაფიქსირებული ქართველ თავად-აზნაურთა გვარები. სანამ იმაზე მოგახსენებთ, რატომ დავინტერესდი ამ წიგნით, რატომ გავიხსენე ათაპაპიდროინდელი (კახეთში იციან ხოლმე ეგრე თქმა) გამოცემა, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ქართველ თავად-აზნაურთა გვარების ისტორიის უფრო სრული ვერსია შედგენილი ყოფილა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილის, იოანე ბაგრატიონის (1768-1830) მიერ. მისი ნაშრომი კი არის დასათაურებული, როგორც „შემოკლებითი აღწერა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს – მასში მოცემულია საქართველოს სამეფოს 300-ზე მეტი გვარის ეტიმოლოგია. იოანე ბაგრატიონის ნაშრომი პირველად გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ 1884 წელს ჟურნალ „ივერიაში“.

მიაქციეთ ყურადღება: 300-ზე მეტი თავად-აზნაურის გვარის ეტიმოლოგია, ზუსტად იმდენი, რამდენი პარტიაცაა დღეს საქართველოში. როგორც ჩანს, ეს„300-ზე მეტი“ აკვიატებაა ჩვენი. არც ისეთი კაი შედარება გამომივიდა, ხომ? ვიცი, მაგრამ მე იმის თქმა მინდოდა, ადრე გასაქანი თავადურ-აზნაურული ტიტულების ყიდვაში გვქონდა, ხეირი იქ იყო, ახლა კიდევ იგივეს ვაკეთებთ პარტიების შექმნასა და აფერისტულ ლაქლაქში, ხეირი აქ არის-მეთქი. დავანებოთ ამას თავი, მივუბრუნდეთ ჩვენ სვესა და ბედს, რომელიც ხან წაღმა დატრიალდება ხოლმე, ხან უკუღმა, ხან ისე, ხან ასე, ხან კიდევ იმნაირად, საერთოდ რომ ვერ გაგვიგია, რა ხდება ჩვენს თავს. დღეს გვიკვირს, რატომ გვაქვს ქართველებს ასერიგად არეული ჟამკარი? რატომ გველაპარაკებიან ბოზები პატიოსნებაზე, მოღალატეები პატრიოტობაზე, ყაჩაღები კორუფციაზე, ინდიურები ფილოსოფიაზე, ბატები პოლიტიკაზე, ტრულაილები ქვეყნის აღმშენებლობაზე? მოდით, ვნახოთ ე.წ. „ბარხატნაია კნიგა“, გადავხედოთ, მართლა წარჩინებულ გვარებთან ერთად კიდევ რომელ გვარებს აქვთ მინიჭებული თავად-აზნაურობა და კიდევ ერთხელ მივხვდებით, რატომ არის ამ (ჩვენს) ქვეყანაში ღირებულებები აღრეული.

კი, ბატონო, იყო მეფობა, იყო ბატონ-ყმობა, მანამდე იყო ფეოდალიზმი, იყვნენ ჩინიანნი, იყვნენ უჩინონი, ეს იყო წყობილება, ასე იმართებოდა არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო. როგორც ყველას, ჩვენც გვყავდნენ დიდგვაროვანნი და ეს გახლდათ ოფიციალურად აღიარებული, სიგელ-გუჯრებითა და ჟღარუნ-ჟღურუნებით გამაგრებული... მაგრამ, როგორ ფიქრობთ, გვარად გიჟიმყრელი რანაირად უნდა ყოფილიყო ამ ქვეყანაში დიდგვაროვანი? არ ვიცი, მე სწორედ აქ ვხედავ ღირებულებათა აღრევას, თვითნებობას, თახსირობას და მაიმუნობას. ვიცი, ვინმე განსწავლული გამოჩნდება, რომელიც მეტყვის, შეიძლება ბატონმა გიჟიმყრელმა რამე საგმირო საქმე ჩაიდინა, თავი გასწირა, მამული გადაარჩინა და მეფემ დიდგვაროვნობა მიანიჭაო, ყმებიც უბოძაო, მიწებიცაო, სოფლებიცაო. დიახ, არ გამოვრიცხავ, ასეც მომხდარიყო. აქვე არსებობს მეორე ვერსიაც: მგალითად, საქართველოში არსებობდნენ დიდებული აზნაურები, რომლებიც ჩვეულებრივ აზნაურებზე უფლებრივად და ეკონომიკურად მაღლა იდგნენ. დიდებულ აზნაურებს ჰყავდათ ვასალი აზნაურები. XV საუკუნეში დიდებული აზნაურები ცალკე ფენად (თავადთა წოდების სახით) ჩამოყალიბდა და შეიქმნა გაბატონებული კლასის ორი წოდებრივი კატეგორია – თავადთა და აზნაურთა წოდება. აზნაურები ჰყავდათ აგრეთვე მეფეს (სამეფო აზნაურები) და ეკლესიას (საეკლესიო აზნაურები).

კარგი, გიჟიმყრელმა გმირობა ჩაიდინა და აზნაურობა უბოძეს, ფისაძემ და ბუჭყიაშვილმა რა ჩაიდინეს? ან ბანცურიშვილმა, სანთლიკუდაშვილმა (ამას არაუშავს) და დაფქვიაშვილმა რა ჩაიდინეს? შეიძლება ამათაც ძაან მაგარი რაღაცები ჩაიდინეს, მაგრამ გადავხედე რა ამ ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას, გამიჩნდა გონივრული ეჭვი, რომ ჩვენ სათავადაზნაურო ტიტულებს ვყიდულობდით. დიახ, აქაც ვყიდულობდით და როცა შანსი გაჩნდა, რუსეთში ხომ ვყიდულობდით და ვყიდულობდით! მეტიც, არ დაიჯერებთ, ერთი ხანობა ჩვენი დიდგვაროვნები ატყდნენ, აქაურები არ გახლავართო, ჩვენი სისხლი და ჯილაგი სულ სხვა კონტინენტებიდან მომდინარეობსო. ზოგი ამტკიცებდა, ჩვენი წინაპრები „კიტაიიდან“ იყვნენო, ზოგი იძახდა – ეთიოპიიდან, იტალიიდან, სპარსეთიდან და სომხეთიდანო. მერე დადგა დრო (ეს უკვე გვიან იყო, აქეთ, ბოლოსკენ), ყველას ფრანციცულობა მოუნდა. წავიდოდნენ ჩვენი ახალგაზრდები „პარიჟში“, ნახავდნენ იქაურ სენტიმენტალურ ცხოვრებას, დაბრუნდებოდნენ და იყო ერთი ამბავი, მიმდინარეობდა იკლიკანტური მიეთ-მოეთი სალონებში, თეთრი ხელთათმანების სროლა, ცრემლების ღვარღვარი, დამბაჩების სროლა ჰაერში, გულის ფიცარზე მჯიღების ცემა და ასე შემდეგ. ეეეჰ... ძაან მძიმე დღეები გვაქვს გავლილი ქართველებს, ხან სპარსელები ვიყავით, ხან კიტაიელები, ხან ესპანიელები, ხან ფრანციცულები და სანამ ინგლისურენოვანნი გავხდებოდით, რუსულენოვანებიც კი ვიყავით. დიახ, ვიყავით, თანაც მთელი 70 წელიწადი... თუმცა არა, უფრო მეტი, ჩვენ ეს ამბავი, თუ არ ვცდები, 1801 „წლიდამ“ 1990 წლამდე უნდა მოვითვალოთ და გამოდის 189 წელიწადი. იმასაც ამბობენ, 200 წლის განმავლობაში ვიყავით მონებიო. კაი, ჰო, შეგვიძლია დავამრგვალოთ კიდევაც, ბევრი არაფერი იცვლება. თუმცა, გთხოვთ, თქვენც გადმოითვალოთ, მათემატიკაში სუსტი ვარ, ბოლომდე ნუ მენდობით. ამ საკითხს დეტალურად თუ განვიხილავთ, კი შემოიტანეს რუსებმა რაღაც ნაძირლური ელემენტები, მაგრამ გლობალური თვალსაზრისით მაინც გვიხსნეს საბოლოო განადგურებისგან. აღა-მაჰმად-ხანის მიერ გაპარტახებულ საქართველოს საერთოდ აღარ ჰქონდა ფეხზე წამოდგომის უნარი. აი, აქ დადგა ჟღარუნ-ჟღურუნებისა და ეპოლეტების მოყვარულთა დრო, ანუ მედროვეთა დრო!

სანამ რუსეთში ნახეირებ ე.წ. ელიტას კიდევ ერთხელ ვახსენებ, მერე რომ არ დამავიწყდეს, ბარემ ისიც ვთქვათ, რატომ სწუნობდნენ ქართველი დიდგვაროვნები თავიანთ ქართველობას, რატომ ამტკიცებდნენ, რომ მათი წინაპრები იყვნენ „კიდაიიდან“, „ფრანციიდან“, ან კიდევ ეთიოპიიდან? როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, ფეოდალური ხანის თითქმის ყველა ქვეყანაში ყოველი დაწინაურებული გვარი თავისი წინაპრების უცხო სახელმწიფოთა რომელიმე წარჩინებული გვარის ნათესავად წარმოჩენის სურვილით იყო შეპყრობილი. მაგალითად, რუსეთის ზოგიერთი დიდგვაროვანი ცდილობდა დაესაბუთებინა, თითქოს მისი მოდგმა ვარიაგებისაგან (ვიკინგებისაგან) მოდიოდა. უნგრელი წარჩინებულები (გრაფები: ჰადიკები, ზიჩები და სხვ.) კი ცდილობდნენ ქართველების თავიანთ სისხლით ნათესავებად გამოყვანას (რ. ხუციშვილი, უნგრულ-კავკასიური პრობლემა, თბილისი 1994, გვ. 212). შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოში ბაგრატიონები თავიანთ შთამომავლობას მიაკუთვნებდნენ ებრაელთა მეფეებს – ბიბლიურ იესეს, დავითსა და სოლომონს. ცნობილია, რომ ორბელიანები ჩინელებს აცხადებდნენ წინაპრებად. ასევე უცხოელობდნენ წინაპრებით ამილახვრები, ერისთავები, ციციშვილები და სხვები. პროფესორ იასე ცინცაძის აზრით, გვარის არარსებულ ისტორიას იმისათვის თხზავდნენ, რომ ადგილობრივი გაბატონებული წრეებისაგან განსხვავებულიყვნენ, უფრო მაღლა დამდგარიყვნენ, თითქოს მფლობელობის უფლებები იმთავითვე უცხო ქვეყანაში ჰქონოდეთ მათ წინაპრებს მინიჭებული. აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის თქმით, ხშირად მმართველი ფენის დინასტია ცდილობდა, კიდევ უფრო მკვეთრად გამიჯნოდა თავისი ხალხის ძირითად მასას (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 1970, ტ. I, გვ. 313).

ახლა ხვდებით, რატომ გვაქვს ქართველებს ჟამი და კარი არეული? როდესაც ორბელიანი ამტკიცებს, ჩემი წინაპრები ჩინელები იყვნენო, რა უნდა ველაპარაკო ბუჭყიაშვილს ან გიჟიმყრელს, თუკი ისინი ეთიოპიელობაზე ალაპარაკდებიან? როგორც ჩანს კი არა და ეგრეა, მაშინ უცხოპლანეტელებზე არაფერი იცოდნენ, თორემ ბევრი მათ ნათესაობასაც დაიბრალებდა.

ჩვენში რომ მედროვეთათვის დრო ყოველთვის ყვაოდა, ამაზე მიანიშნებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. პრინციპში, ეს არის არა მხოლოდ დეტალი მედროვეობაზე, არამედ ჩვენს უუნარობასა და ყეყეჩობაზეც. არსებობს უტყუარი ცნობები, თუ ვინ, რა ეროვნების ადამიანები მართავდნენ თბილისს მე-12 საუკუნიდან მოყოლებული, გასაბჭოებამდე. მართალია, მათ თანამდებობებს პერიოდულად სახელწოდებები ეცვლებოდა, მაგრამ მოდით, დავარქვათ მერები:

1. ამირა ვასაკ არცრუნი (XII საუკუნის შუა წლები);
2. ამირა კურდ არცრუნი (XII საუკუნის მეორე ნახევარი);
3. შადინ ბადინ (XIII საუკუნის მეორე ნახევარი);
4. მელიქ ენალი (XVII საუკუნე), დაახლოებით 1646-1673 წ.წ;
5. მელიქ ბაიანდური (XVII საუკუნე), 1650 წლიდან;
6. მელიქ ხოჯა-ბეიბუდი (XVII საუკუნე), 1662 წლამდე;
7. მელიქ აშხარბეკი (XVII საუკუნე), 1662 წლიდან;
8. მელიქ ავთანდილი (XVII საუკუნე), დაახლოებით 1678-1698 წ.წ;
9. მელიქ ამირ ბეიბუდიანცი (XVII საუკუნე);
10. მელიქ ასლამაზ ბეიბუდიანცი (XVII-XVIII საუკუნეები);
11. მელიქ გიორგ ასლამაზიან ბეიბუდიანცი (XVIII საუკუნე), 1699-1711 წ.წ;
12. მელიქ ზურაბ გიორგიან ბეიბუდიანცი (XVIII საუკუნე), 1712-1742 წ.წ;
13. მელიქ აშხარბეკ II ბეიბუდიანცი (XVIII საუკუნე), 1734 წლამდე;
14. მელიქ აღა აშხარბეკიან ბეიბუდიანცი (XVIII საუკუნე), 1734-1768 წ.წ;
15. მელიქ ანტონი (XVIII საუკუნე), 1746 წლიდან;
16. მელიქ საკ შერგილიანცი (XVIII საუკუნე), 1751-1760 წ.წ;
17. მელიქ ავეტიკ ადაიან ბეიბ-





უდიანცი (XVIII საუკუნე), 1768-1795;

18. მელიქ დარჩი ავეტიკიან ბეიბუდიანცი (1764-1832), 1795-1801;

19. ჰოვანეს (ივან) იზმირიანცი, 1840-1843;

20. სტეფან გაბრიელიან ხატისიანცი, 1844-1845;

21. მოვსეს ტერ-გრიგორიანცი, 1845-1846;

22. ოვანეს სიმონიან შადინიანცი, 1847-1848;

23. ტოვმა დავთიან ფრიდონიანცი, 1848-1849;

24. ზაქარია სტეფანიან ამირაღიანცი, 1850-1851;

25. ოვსეპ აფანასიან მირიმანიანცი, 1851-1852;

26. ავეტიკ ასტვაცატრიან (ბოგდანოვიჩ) სვეჩნიკოვი, 1853-1856;

27. სოლომონ დავთიან სარაჯევი, 1856-1857;

28. ანდრეი დავთიან მანანოვი, 1857-1858;

29, ვარდან ასტვაცატრიან არშაკუნი 1858-1860;

30. სოლომონ ზაქარიან აბისოღომიანცი, 1860-1861
1865-1866;

31. სოლომონ მირიმანიან მირიმანიანცი, 1861-1862;

32. გევორქ (ეგორ) გრიგორიან ფრიდონიანცი, 1862-1864;

33. გალუსტ არუთინიან შერმაზან-ვარდანიანცი, 1864-1865;

34. ერემია გევორქიან არცრუნი, 1866-1868;

35. ნიკოლაიოს ოვანისიან ალადატიანცი, 1868-1869;

36. დმიტრი თუმანიანცი, 1869-1870;

37. იაზონ დმიტრიან თუმანიანცი, 1870-1874;

38. დიმიტრი ყიფიანი, 1875-1879;



39. ანტონ სოლომონიან ყორღანიანცი, 1879;

40. ალექსანდრ სტეფანიან მატინიანცი, 1879-1891;

41. ნიკოლაიოს არღუტიან-დოლგორუკი, 1891-1893
1895-1896, 1903-1904;

42. პოღოს ალექსანდრიან იზმაილიანცი, 1893-1895;

43. გევორქ გრიგორიან ევანგულიანცი, 1897-1901;

44. ალექსანდრ მიქაელიან არღუტიან-დოლგორუკი, 1902;

45. ქრისტოფორ ავაკუმიან ვერმიშიანცი, 1904-1905;

46. ვასილ ჩერქეზიშვილი, 1907-1909;

47. ალექსანდრე ოვანისიან-ხატისიანცი, 1910-1917;

48. ბენიამინ ჩხიკვიშვილი, 1919-1920.

კარგად წაიკითხეთ, მეგობრებო? კი, ბატონო, მჯერა თქვენი, დარწმუნებული ვარ, ერთის გვარიც არ გამოგიტოვებიათ... თუმცა, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, რამდენის გვარი დაიმახსოვრეთ? ბიჯოოო, მე-12 საუკუნიდან მოყოლებული თბილისის მთავრობას ქართველი რომ ვერ ეღირსება, ის რანაირი საქართველოა? ხალხო, 8 საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ გახდა ქართული გვარის ადამიანი მერი, ისიც ბოლოს, აქეთ, რევოლუციამდე ახლოს – დიმიტრი ყიფიანი, ბენიამინ ჩხიკვიშვილი და ვასილ ჩერქეზიშვილი. იყვნენ თუმანიანცებიც, ალბათ გვარგადაკეთებული თუმანიშვილები, მაგრამ მე პირადად იმ პერიოდისთვის ნამდვილად არ ჩავთვლიდი ქართველებად. ამბობენ, იმ დროს საქართველოში ბიზნესი და ეკონომიკა სომხების ხელში იყო, ისინი სხვა ეროვნებების წარმომადგენლებს, მათ შორის ქართველებს, გასაქანს არ აძლევდნენ და ესენიც, ეს ქართველები გვარებს სომხურად იკეთებდნენო. კი, ბატონო, არც უმაგისობა იყო, მაგრამ აბა ერთი კარგად დააკვირდით ამ სიას, რომელს ეტყობა, რომ სისხლადუღებული ქართველი იყო და სომხად გადაკეთდა? მე აღარ ჩამოვთვლი (მეზარება), შეგიძლიათ ხელახლა წაიკითხოთ და უთუოდ მიხვდებით, რატომ გვაქვს ჟამკარი არეული და ერთი ადგილის გასაღები დაკარგული. ისე, მაინტერესებს, ამდენი უცნაურგვარიანი ხალხი სად წავიდა? ჰო, სად წავიდნენ, რატომ გაქრნენ, ვითომ გადაშენდნენ? რაღაც არა მგონია, ჩემი აზრით, გვარები გადმოიქართულეს და ახლა სწორედ მათი გვარგადმოკეთებული ნაშიერები ებრძვიან ამ ქვეყანას. შეიძლება გვარიც შეიცვალო, პლასტიკური ოპერაციაც გაიკეთო, მანერებიც შეიცვალო, მაგრამ გენეტიკას ვერაფერს უზამ. თუ კარგად დააკვირდებით, ადრე თუ გვიან, მაინც ყველას გამოაჩნდება ხოლმე თავისი წარმომავლობა და სისხლის ყივილი. მერე გვიკვირს, ქართველები რატომ ამტკიცებენ, თითქოს გარეჯი საქართველო არ არისო? ქართველები არა, ჩემი ფეხები!

აი, მეგობრებო, ჩვენ ამიტომაც გვაქვს ჟამკარი არეული. ეს ისეთი კარგი თემაა, გპირდებით, უახლოეს მომავალში ისევ დავუბრუნდები.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

## იკლიკანტური ამბების აკიდო



### პოზიტივი: ნაზიკო პოლიტიკაში არ მიდის!

მეგობრებო, არც კი ვიცი, საიდან დავიწყო... ამ ქვეყანაში იმდენი იკლიკანტური ამბავი ხდება, უკვე ასარჩევად მაქვს საქმე. არა, ადრეც ბლომად ხდებოდა უცნაური რაღაცები, მაგრამ ეხლა ნამატნავად ბევრია. მოდით, კარგი ამბით, როგორც დღეს ამბობენ ხოლმე, პოზიტივით დავიწყებ: ნაზი ჯანეზაშვილი როა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, სულ რომ დაობს და სულ რომ პრეტენზიები აქვს, იმან სრული სერიოზულობით განაცხადა, ვიქნები ორიგინალური და არ წავალ პოლიტიკაშიო. ეხლა არ მითხრათ, რა არის აქ საპოზიტივოო... აბა, რას ამბობთ, ამხანაგებო? განა თქვენ დღემდე გინახავთ საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ასე ხელაღებით განეცხადებინოს, არ წავალ პოლიტიკაშიო? არ არსებობს, ასეთს ვერ დამისახელებთ, ასეთი მხოლოდ ნაზიკოა, სულ რომ ჯიჯღინებს, ჯანეზაშვილი. ისე, თქვენი არ ვიცი და მე სადღაც გულის კუნჭულის კიდევ უფრო ღრმა კუნჭულში მეწყინასავით, დღეს ქართულ პოლიტიკას თუ რამე აკლია, სწორედ ასეთი მჟღერი გვარ-სახელები აკლია... აბა, ნაზი ჯანეზაშვილი პარლამენტში განცხადებას რომ გააჟღერებს, ისე ნიკა მაჭუტაძე გააჟღერებს? არა მგონია!

განა მაჭუტაძის ჟღერადობასა ვწუნობ? არა, სწორედაც რომ საპარლამენტო გვარია, მაგრამ რაღაც ვერ არი შემტევი, რაღაც დონდლოს შთაბეჭდილებას ტოვებს.

მოკლედ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გილოცავთ, ძლივს საქართველოში გამოჩნდა ადამიანი, იურისტი, უგზოდ და უკვლოდ განათლებული, რომელმაც პირდაპირ მოგვახალა, მეო, პოლიტიკაში არ წავალო, ორიგინალური უნდა ვიყოო. აი, იგრძნო ადამიანმა თავისი უპირატესობა სხვებისგან განსხვავებით და ეგრევე დადგა საკუთარ თავზე მაღლა. მეტიც, მან ეგრევე დათრგუნა თავისი ქვენა გრძნობები, რომლებიც ხშირად დაუკითხავადაც კი მიიწევენ პოლიტიკაში. ამან ეგრევე ამოსდო ლაგამი ქვენა გრძნობებს, წიხლიც კი დააჭირა და ჩასძახა: აბა, აბა, ეხლა ეგეთი რაღაცები არ იყოსო! კი, შეიძლება ამაში არის მაზოხიზმის ნიშნები, მაგრამ სამაგიეროდ ერში ინერგება ორიგინალურობა, ანუ პოლიტიკაში წაუსვლელობის სინდრომი. განა ეს ცოტაა, ამხანაგებო? განა ეს არ უნდა გვიხაროდეს და ამას პოზიტივად არ უნდა ვთვლიდეთ? განა არ სჯობს, ქალბატონი ნაზიკო შევიდეს ფიგურული სრიალის წრეზე, ჩაეწეროს ბატუტზე მხტომელთა გუნდში, ან კიდევ სულაც ხელი მოჰკიდოს მებოცვრეობას, ვიდრე წავიდეს პოლიტიკაში და ნერვები აშლევინოს ათეულობით დარტყმულ ვირეშმაკას?!

აეგრე, ქალბატონო ნაზი, აეგრე!

### ნეგატივი: ანა დოლიძეს თბილისის მერობა მოუნდა!

„ვაპირებ, ქალაქის მერად დავაყენო ჩემი კანდიდატურა, ასეთია ხალხის დაკვეთა"! – ასეთი მორიდებული განცხადება გამოაქვეყნა მოძრაობა „ხალხისთვის" ლიდერმა ანა დოლიძემ.

უფ... რა ადვილად რიგდება ამ ქვეყანაში ლიდერთა ტიტულები, შექმნიან სამკაციან მოძრაობას ან პარტიას და ლიდერიო, განა თავმჯდომარე ან „უმფროსიო"? არა, ეგრევე ლიდერიო. ეგ კიდევ არაფერი, მხოლოდ ლიდერობით არ კმაყოფილდებიან, ისინი არიან „ვსიოზნაიკები", ანუ „ყველაფერჩიკები", ანუ ყველაფრის მცოდნეები, მათ იციან, რა არის ხალხის დაკვეთა, რა უნდა ხალხს, როგორ



უნდა ხალხს და რანაირად უნდა ხალხს. დიახ, უფრო მეტიც იციან, თითოეული ჩვენთაგანის გულში რა ხდება, რა იხარშება, რას ვფიქრობთ, რა დარდი და ბალღამი გვიტრიალებს, ისიც კი იციან.

ალბათ ხვდებით, ამხანაგებო, რომ ამჯერად უძალიანმაგრესად ვხუმრობ და ვღადაობ. ასინეთას რო უთხრეს, პირიქითაა ეგ ყველაფერი, პირიქითო, სწორედ ასეა საქმე. პირიქითაა, არანაირი ლიდერები ესენი არ არიან და არანაირი პოლიტიკა ამათ არ იციან. თვითონ ვერ გაუგიათ, რა ილაპარაკონ, საქმეს საიდან მოუარონ, ჩვენს გულებში რა ხდება და ვის რას ვუკვეთავთ, ამათ საიდან უნდა იცოდნენ. მაგალითად, მე შეიძლება გამიჩნდეს სურვილი, ხელისუფლებას რამე დავუკვეთო, მოვთხოვო, დავავალო, ვთხოვო, გავუბრაზდე, ავუჯანყდე, მაგრამ ვერ გავიგე, ანა დოლიძეს რა და რატომ უნდა დავუკვეთო, მით უფრო, თბილისის მერად რატომ უნდა წამოვასკუპო? რა გააჩნია, გამოცდილება აქვს, სადმე თავი გამოიჩინა, სადმე წესი და რიგი დაამყარა თუ როდისმე ჭკვიანური გვითხრა რამე?!

მოდით, გულზე ალალად დავიდოთ მჯიღი, რაც ამ ოთხი წლის განმავლობაში კახა კალაძემ თბილისში გააკეთა, აქამდე ვინმეს გაუკეთებია? გიგი უგულავა ყოველ საღამოს რომ იპრიწება ტელევიზორში, რამდენი ხანი იყო მერი, მილიონების მოპარვის გარდა თავი რით დაგვამახსოვრა? ერთი აღმაშენებლის გამზირის კეთება დაიწყო „გიფსო-კარდონით" და ისიც ერთ კვირაში დაიხა.

ახლა ეს ქალი გამოვიდა... მე უნდა ვიყო თბილისის მერი, ასეთი გახლავთ ხალხის დაკვეთაო. სიმართლე გითხრათ, აუტკივარი თავის ატკიება ძალიანაც არ მეპიტნავება, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნა რანაირად უნდა უგულვებელვყოვო? არ მეპიტნავებაო, დოლიძეს არ უთქვამს, მე მივამატე, პირველი წინადადება დაკვეთის თაობაზე ისე პრეტენზიულად წარმოსთქვა, დანარჩენი იგულისხმება.

რატომ არის ნეგატიური ამ ქალბატონის სურვილი და შესაბამისად, განცხადებაც? იმიტომ, რომ მისი სურვილი არის არარეალისტური და აშკარად უთანაბრდება გამოხტომას. ახლა დოლიძე ამ არჩევნებში დააყენებს თავის კანდიდატურას, წინასაარჩევნოდ გამოყრის რაღაც უცნაურ ე.წ. სლოგანებს, იტყვის, თბილისს კახა კალაძეს ვერ დავანებებ, არ მემეტებაო, ხალხს აცინებს, 1–2 პროცენტსაც ვერ მიიღებს და ოქტომბრის ბოლოს მოჰყვება ქვითინს, ვაიმე, დედიკო, ხალხნო და ჯაამაათნო, გამოყალბესო... „ქართულმა ოცნებამ" იძალადა ჩემზე, ხმები მომპარაო, კალაძემ შავი სამყაროს წარმომადგენლები დაიქირავა, ამომრჩევლები დააშინა, თორემ ფაქტობრივად მერი გახლავართო. რა გაყალბება, რის გაყალბება, რომელი ხახვი, სადაური კარტოფილი? ეს ადამიანები ხალხს საკუთარ თავებს ისე სთავაზობენ, სახლიდან გასვლის წინ სარკეებშიც არ იყურებიან... სანამ ჩასთვლემენ, ბალიშებზე თავებს რომ დადებენ, საკუთარ მეორე „მეებს" არ ელაპარაკებიან, არ ეკითხებიან, ამის და ამის სურვილი რომ მაქვს, შემიძლია კი რამეს მივაღწიო, ნეტავ რამე თუ გამომივაო? არადა, ერთი კი არა, ათი ანა დოლიძე რომ გამოვიდეს ამ არჩევნებში (თუნდაც სხვა არჩევნებში) კალაძეს ბუზსაც ვერ აუფრენს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# „ბირთვულ ომში გამარჯვებული არავინ იქნება“
## ჯო ბაიდენისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა ჟენევაში

წლის მთავარ შეხვედრად იქნა შეფასებული პოლიტოლოგების მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების — ჯო ბაიდენსა და ვლადიმირ პუტინს შორის შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გამართული სამიტი. შეხვედრისადმი ინტერესი მართლაც განუზომლად დიდი იყო.

იმთავითვე გადაწყდა, რომ აშშ-რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა ჟენევის ტბასთან მდებარე „ვილა ლა გრანჟში“ გაიმართებოდა. ისტორიულ, მე-17 ს-ის შენობაში უნიკალური ბიბლიოთეკაა, სადაც მე-15 ს-ის წიგნებიც ინახება, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ენებზეა გამოცემული. ვილა სიმწვანეშია ჩაფლული, მაგრამ შვეიცარიელებმა სამიტისთვის მოკირწყლულ გზაზე ასფალტი დააგეს პრეზიდენტების კორტეჟებისთვის. უპრეცედენტოდ გაძლიერებულ დაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ბიბლიოთეკიდან უნიკალური წიგნების ნაწილი სხვაგან გადაიტანეს. მოკლედ, შვეიცარიელებმა სამუშაოდ ყველანაირი პირობები შეუქმნეს სამიტში მონაწილეებს.

დააკმაყოფილეს აშშ-ის მხარის



განსაკუთრებული მოთხოვნა — თვითმფრინავის ტრაპზე და, საერთოდ, სხვაგანაც დაეგოთ ისეთი ხარისხის წითელი ხალიჩა, რომელზეც ფეხი არავის დაუსხლტებოდა. ამის გარდა, ითხოვდნენ, რომ შენობაში, სადაც შეხვედრა გაიმართებოდა, ჰაერის ტემპერატურა 18 გრადუსი ყოფილიყო. სამიტის გამართვის დღეს ჟენევაში 35 გრადუსი სიცხე იყო, მაგრამ მასპინძლებმა ვერ შეძლეს ამერიკელების მოთხოვნის დაკმაყოფილება შენობის სიძველის გამო.

ჟენევაში ჯო ბაიდენი ბრიუსელიდან ნატოსა და აშშ-ევროკავშირის სამიტების შემდეგ ჩავიდა. აღსანიშნავია ნატოს სამიტზე ჯო ბაიდენისა და თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის შეხვედრა, რომელიც 1,5 საათს გაგრძელდა, აქედან 50 წუთი პრეზიდენტებმა პირისპირ ისაუბრეს.

წინასწარ იყო ცნობილი, რომ ჯო ბაიდენი სამიტის დაწყებამდე, წინა დღით ჩავიდოდა შვეიცარიაში. პრეზიდენტის თვითმფრინავი ჟენევის აეროპორტში საღამოს 5 საათზე დაჯდა. ჯო ბაიდენმა „ტრადიცია“ არ დაარღვია — მასპინძელი, შვეიცარიის პრეზიდენტი გი პარმელენი, რომელიც საპატიო სტუმარს დახვდა, 15 წუთი ალოდინა. სწორედ ამდენი დრო დასჭირდა თვითმფრინავის კარის გაღების შემდეგ ბაიდენს ლაინერიდან ჩასვლაში. აეროპორტიდან ჯო ბაიდენი სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ წავიდა, სადაც დაბინავდა. იმ სასტუმროში, სადაც 1985 წელს შედგა პირველი შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანსა და საბჭოეთის ხელმძღვანელ მიხაილ გორბაჩოვს შორის, რომელიც უშედეგოდ დასრულდა.

თვითმფრინავიდან ჯო ბაიდენის გვიან ჩასვლამ პრობლემები შეუქმნა სხვა ბორტებს, რომლებიც ჟენევის აეროპორტში უნდა დაშვებულიყვნენ. აეროპორტში შეფერხების მიზეზით დელეგაციის თვითმფრინავი ერთი საათი ჰაერში ელოდებოდა დაჯდომის ნებართვას.

უცნაური მარშრუტით იმგზავრა პუტინმა შვეიცარიისკენ. მოსკოვიდან სოჭში ჩავიდა, იქიდან აიღო გეზი ჟენევისკენ.

სამიტს 3 ათასზე მეტი ჟურნალისტი აშუქებდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან.

თავდაპირველად „ვილა ლა გრანჟში“ ვლადიმირ პუტინი მივიდა, რომელსაც შვეიცარიელი კოლეგა დახვდა და შენობაში შეიპატიჟა. რამდენიმე წუთში უკვე ჯო ბაიდენიც მივიდა, რომელსაც ასევე მასპინძელი დახვდა. სამმხრივი ერთობლივი ფოტოს გადაღების შემდეგ გი პარნმელმენმა სამიტში მონაწილეებს წარმატება და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა. ლონდონში და ბრიუსელში ჯო ბაიდენი ქვეყნების მეთაურებს „ახალი წესით“, იდაყვებით ესალმებოდა, ამჯერად მან პირველმა გაუწოდა ხელი პუტინს ჩამოსართმევად — ეს გახლდათ პირველი ხელის ჩამორთმევა ათი წლის შემდეგ. პრესის წარმომადგენლებს მალევე დაატოვებინეს შენობა და მოლაპარაკება დაიწყო. ამერიკელმა ჟურნალისტებმა თავიანთი აგრესიული, შეიძლება ითქვას, უკულტურო



საქციელით გააოცეს ორივე პრეზიდენტი და დელეგაციის წევრები.

როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკება, ტრადიციულად, გასაიდუმლოებული იყო. ხშირად დიალოგის მსვლელობისას ცნობილი ხდება ხოლმე ცალკეული სიახლეები, მაგრამ ჟენევის სამიტიდან არანაირ კულუალურ ინფორმაციას არ გაუჟონია. ამიტომ ყველა შეხვედრის დასრულებას ელოდებოდა შედეგების გასაგებად.

აშშ-ის ტელევიზიები პირდაპირ ეთერში, შორიდან კარნახობდნენ ბაიდენს, რა თემებზე და როგორ ელაპარაკა. ისმოდა მოწოდება, რომ „რუსეთს ისე უნდა მოვეპყროთ, როგორც მტერს! უკან დახევა არ შეიძლება!“

წინასწარ, შეხვედრის დაწყებამდე უკვე ცნობილი იყო, რომ ბაიდენისა და პუტინის ერთობლივი ბრიფინგი არ გაიმართებოდა. ცალკეული მიმომხილველების განცხადებით, აშშ-ის მხარეს არ უნდოდა, პუტინის ფონზე ბაიდენი სუსტად გამოჩენილიყო. სამაგიეროდ, პრეზიდენტი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ. მისი თქმით: „...როდესაც უარს ამბობ ისაუბრო შეხვედრის შედეგებზე, გამოთქვა საკუთარი აზრი, გამოდის, გეშინია. შეშინებულ ადამიანს კი ადვილად გაანადგურებ. ეს მეტყველებს თქვენს კოლოსალურ სისუსტეზე!“ — მიმართა პომპეომ ბაიდენს.

პუტინის შეფასებით სამიტმა კარგად ჩაიარა. „ღია, კონსტრუქციული საუბარი გვქონდა. პირისპირ საუბარს სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ესწრებიდნენ, რათა ჰელსინკის მსგავსი ინციდენტი არ განმეორებულიყო, როდესაც დონალდ ტრამპს ლამის რუსეთის აგენტობა დასწამეს ორ საათზე მეტი ვილაპარაკეთ. ყოველთვის ასე არ ხდება... ჯო ბაიდენი კონსტრუქციული, გაწონასწორებული ადამიანია, რომელსაც პოლიტიკაში დიდი გამოცდილება აქვს“, — თქვა პუტინმა.

სამიტზე მიღწეულ მთავარ შედეგად პუტინს სტრატეგიულ და ბირთვულ შეიარაღებაზე შეთანხმებისთვის მოლაპარაკების დაწყება მიაჩნია. თავდაპირველი დიპლომატიური უწყებები გამართავენ კონსულტაციებს, შეიმუშავებენ სამუშაო პაკეტს და ამის შემდეგ დაიწყება გაფართოებული მოლალაპარეკებები.

ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ დონალდ ტრამპთან შეხვედრის შემდეგ ქვეყნებს შორის ვითარება გაუარესდა. იგივე ხომ არ განმეორდებაო, ჰკითხეს. „არ ვიცი, იქაური (აშშ-ის) კონგრესი და პოლიტელიტა რას მოიფიქრებენ, ისინი ხომ შემოქმედი ხალხია“, — თქვა პუტინმა.

ბრიფინგზე ჯო ბაიდენმა განაცხადა: „...ჩემი ტაქტიკა ამერიკელი ხალხის ინტერესების დაცვისკენ არის და არა რომელიმე ქვეყნის, თუნდაც რუსეთის წინააღმდეგ მიმართული“. გაზსადენი „ჩრდილოეთი ნაკადი-2“ შვეიცარიაში საერთოდ არ უხსენებიათ. უკრაინასთან დაკავშირებით ბაიდენმა განაცხადა: „...მხარს ვუჭერთ და ვაღიარებთ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. იქაური პრობლემები პოლიტიკურ ჭრილში, მინსკის შეთანხმების მიხედვით უნდა მოგვარდეს“ (ბაიდენის პოზიცია ჩვენმა ხელისუფლებამაც უნდა გაითვალისწინოს).

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულმა მხარემ მხოლოდ მათთვის სასურველი ჟურნალისტები მიიწვია ბრიფინგზე, ჯო ბაიდენის გაბრაზება მაინც მოახერხეს. CNN-ის ჟურნალისტი ჩააცივდა კითხვით, რატომ უწოდებს სამიტს კონსტრუქციულს. ბაიდენმა ყოველივე ბრიფინგის მსვლელობისას ახსნა, მაგრამ ჟურნალისტი პრესკონფერენციის დასრულების შემდეგაც არ მოეშვა.



„თუ ვერაფერი გაიგეთ, შემცდარხართ პროფესიის არჩევაში!“ — მკვახედ უთხრა ბაიდენმა.

აშშ-რუსეთის პრეზიდენტების სამიტი დასრულდა. ის შედეგიანია თუნდაც იმიტომ, რომ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია: „ბირთვულ ომში გამარჯვებული არავინ იქნება“. მსგავსი ფრაზის თქმა და ხელმოწერით დადასტურება ჯო ბაიდენის მხრიდან უკვე წარმატებაა, რადგან ათწლეულებია, აშშ-ის არც ერთ პრეზიდენტს მსგავსი რამ არ უთქვამს. წარმატებაა ასევე ორმხრივი დიალოგის დაწყება სტრატეგიულ შეიარაღებაზე. განსაკუთრებით ახლა, როდესაც 80 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ფაშისტურმა გერმანიამ ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს. ომი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თუმცა უკმაყოფილოც ბევრია. განსაკუთრებით რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერები. „ფოქს-ნიუსის“ შეფასებით, ბაიდენს პუტინმა მოუგო. დონალდ ტრამპმა განაცხადა: „სამიტი აშშ-ისთვის უშედეგოდ დასრულდა, მხოლოდ პუტინს დაუთმეს მაღალი ტრიბუნა“. თვით დემოკრატების მხარდამჭერი CNN თითქმის იგივეს ამბობს: „ბაიდენი დამარცხდა, პუტინმა მიიღო, რაც უნდოდა“. მსოფლიომ კი შვებით ამოისუნთქა სამიტის შემდეგ — ბირთვული ომის საშიშროების ტემპერატურამ დაიკლო.

ამერიკელი კოლეგა რუსეთში დაბრუნებულმა პუტინმა დაიცვა: „როგორც გვისახავენ ბაიდენს ჩვენთან თუ ამერიკაში, სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. იგი პროფესიონალია, ყურადღებით უნდა იყო, რომ არაფერი გამოგრჩეს. თავად ის არაფერს გამოტოვებს. ორი საათი ვესაუბრე, ყველაფრის საქმის კურსშია. დროდადრო ჩანაწერებში ყველა ვიყურებით, გასაოცარი არაფერია. ფიზიკურადაც კარგად გამოიყურება... ასეთი დიდი მანძილის გავლა, სასაათო სარტყელის ცვლილებებთან შეგუება ახალგაზრდებსაც კი უჭირთ, რასაც მან კარგად გაუძლო და მხნედ გამოიყურება“.

ჟენევის სამიტზე პოლიტოლოგები კიდევ ბევრს ისაუბრებენ. თუმცა ჯო ბაიდენს სხვა პრობლემებიც აქვს მოსაგვარებელი. ამერიკელი ანალიტიკოსების თქმით, ვიდრე ქვეყნის შიგნით არ აღდგება წესრიგი, მსოფლიო არენაზე ამერიკის დაბრუნებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

გია ბურდული
551 71 27 07

# „ანატორი“



ორიოდე დღის წინ კიდევ ერთი შესანიშნავი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

მწერალმა მერაბ შათირიშვილმა მკითხველებს თავისი ახალი რომანი „ანატორი“ წარუდგინა.

მერაბ შათირიშვილი, რომელსაც მკითხველი საზოგადოება მერაბ შათირის სახელით იცნობს, „ანატორის“ გარდა კიდევ რამდენიმე რომანის ავტორია.

„ანატორი“ მის ღრმააზროვან შემოქმედებაში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

რომანი ხევსურეთში ჟამიანობისას ამოწყვეტილ სოფელ ანატორს ეხება და სიმბოლურად უკავშირდება ჩვენს ყოველდღიურობაში შემოჭრილ საშინელ პანდემიას. პარალელები საინტერესოდაა გავლებული და რომანის ღირსებას მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. სწორედ ამის შესახებ ისაუბრეს მწერლებმა წიგნის წარდგინებისას გლდანის ღია პარკში.

საღამოს უძღვებოდა პოეტი ბალათერ არაბული. წიგნი საზოგადოებას წარუდგინეს წიგნის რედაქტორმა, პოეტმა და პუბლიცისტმა, „საერთო გაზეთის“ მთავარმა რედაქტორმა ვახტანგ ხარჩილავამ, წინასიტყვაობის ავტორმა, ლიტერატურათმცოდნე ავთანდილ არაბულმა, პოეტმა ტარიელ ხარხელაურმა, შესანიშნავმა ქალბატონებმა რეგიონებიდან — აჭარის წარმომადგენელმა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აჭარის რეგიონალური საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარემ ნანა მომცემლიძემ და გურიიდან, ოზურგეთის წმ. ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის პედაგოგმა ნაირა ქავთარაძემ გამოთქვეს სურვილი, წიგნის წარდგინება ამ რეგიონებშიც გამართონ.

თითქმის ყველა გამომსვლელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია, „ანატორი“ უცხო ენებზე ითარგმნოს, რაშიც ავტორს სახელმწიფო უნდა დაეხმაროსო.

„ანატორზე“ ისაუბრეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, მწერალმა გიგი ხორნაულმა, ხელოვნების, ქორეოგრაფიისა და მუსიკის დამსახურებულმა ოსტატმა გელოდი ფოცხიშვილმა. პრეზენტაციისთვის სიმბოლური იყო გიორგი ჩიტაურის მიერ ფანდურზე შესრულებული ხალხური სიმღერები.

შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ შესანიშნავ მწერალს მერაბ შათირს, ხოლო „ანატორს“ — ჯილდოებს და უდიდეს გამარჯვებებს.







# „ვარსკვლავთცვენა“ ხაშურში

გასულ კვირას, ქალაქ ხაშურში, პოეტ ეკა ბაქრაძის ხელმძღვანელობით, მის მიერ დაარსებული, 2013 წლიდან უკვე ტრადიციად ქცეული ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოების ციკლის „ვარსკვლავთცვენას“ მორიგი საღამო გაიმართა.

საღამოს თავად პოეტი უძღვებოდა შესანიშნავი არტისტიზმით და ნამდვილი ხელოვანისათვის დამახასიათებელი გულწრფელობით.

ღონისძიებას ხაშურის ინტელიგენციასთან ერთად ესწრებოდნენ ცნობილი პოეტები: ვახტანგ ხარჩილავა, მზია ხეთაგური, დავით ახლოური, მწერალი, პოეტი და ესეისტი დავით არახამია და სხვები.

საღამო პოეზიის დღესასწაულად იქცა, ხაშური კი, უცებ წარმოგვიდგა ხელოვნების, ქართული სიტყვის დიდებულ ცენტრად, თავისი შესანიშნავი ინტელიგენციით.

პოეტები კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს, ქალბატონი ეკა ბაქრაძის საბავშვო თეატრალური წრე „აქვარიუმის“ მოსწავლეები წარმოადგენდნენ ცნობილი ქართველი პოეტების ლექსების მინი-სპექტაკლებს.

ურთიერთპატივისცემის, კულტურის, გემოვნების, განათლების ტრიუმფი იყო ხაშურში იმ დღეს იმ საღამოზე — არაჩვეულებრივი ქალბატონები — დედები, ბებიები, ახალგაზრდები, ვაჟები და გოგონები ერთად, თითქოს, ურთიერთპატივისცემის, ზნეობის, ხელოვნების სათაყვანოდ შეყრილიყვნენ. თვალწინ დაგიდგებოდათ მე-19 ს-ის ქართული კულტურული საზოგადოების სალონური შეხვედრები ლექსებისა და რომანსების თანხლებით.

რომანსები კიდევაც ისმოდა შესანიშნავი კომპოზიტორისა და მომღერლის, ქალბატონი ია მაისაიას შესრულებით, ვიოლონო კი, ქალბატონი ფატი სადაღაშვილის ხელებში არაამქვეყნიურ სიამოვნებას გვრიდა მსმენელებს.



ამ საღამოს შემოქმედს, შთამბეჭდავი პოეზიის ზეიმის მომწყობს, ქალბატონ ეკა ბაქრაძეს ლექსის მოყვარულები კარგად იცნობენ. მან ქართველი მკითხველი ბავშვობიდანვე გააოცა თვითნაბადი პოეტური ნიჭით.

სწორედ მისი ახალი ლექსების კრებულის საჩუქრად გადაცემა გახლდათ საღამოს კულმინაცია ნამდვილ პოეზიას მოწყურებული კულტურული საზოგადოებისთვის.

ამ საღამომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ, სანამ ადამიანი არსებობს, საქართველო უკვდავია, როგორც უკვდავია პოეზია და ლექსი, როგორც ხელოვნება, რომელიც ადამიანებს აახლოებს...



# უცხონი და სახიფათონი

## „ეს ადამიანები უცხოები და სახიფათოები არიან“. გერმანიამ მილიონობით მიგრანტი და დევნილი მიიღო. რა გავლენას ახდენენ ისინი გერმანელებზე?



ტერაქტები და შეიარაღებული თავდასხმები, გაუპატიურებები ოდესღაც უსაფრთხო ქალაქების ქუჩებში, დახმარება მთელი სიცოცხლის განმავლობაში, გადასახადების გადამხდელები რომ იხდიან, — სწორედ ამგვარი ასოციაციები უჩნდება ევროპის ქვეყნების ბევრ მოქალაქეს ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან დევნილთა ხსენებაზე. ამ მიგრანტებთან დამოკიდებულება ხშირად გააფთრებული დავის მიზეზი ხდება, რადგან ევროპული საზოგადოების გარკვეული ნაწილი გულწრფელად თანაუგრძნობს მათ. მიგრანტებთან დაკავშირებით ერთი აზრი არ არსებობს ევროკავშირის ქვეყნების მთავრობებშიც. განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი გერმანიაში დგას. ქვეყანამ მილიონობით დევნილს საზღვრები 2015 წელს გაუხსნა და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. კორონავირუსის პანდემიამ შეაფერხა ინტეგრაციის პროგრამები, რაც გერმანელებში სერიოზულ შიშს იწვევს — კონტროლის გარეშე დარჩენილი ჩასულები ხშირად საემიგრაციო სამსახურების ყურადღების მიღმა რჩებიან.




როგორი დამოკიდებულება აქვთ გერმანიის მოქალაქეებს მიგრაციის მიმართ, ეშინიათ თუ არა დევნილების და რა უნდათ პოლიტიკოსებისგან არჩევნებამდე?

ომისგან ან დევნისგან თავის დაღწევა, ნორმალური საცხოვრებელი, სწავლა და სტაბილური სამუშაო — აი, რა სურს მიგრანტების და დევნილების უმრავლესობას, რომლებსაც ევროპაში ახალი ცხოვრების დაწყება უნდათ. ჩასულთა ნაწილი პატიოსნად მუშაობას არც აპირებს, ნაწილი კი საერთოდ „ქრება“. ბრიტანული გამოცემა The Guardian-ისა და ჟურნალისტთა საერთაშორისო კოლექტივის Lost in Europe-ს ერთობლივი გამოძიების თანახმად, ევროკავშირის ფარგლებში სამი წლის განმავლობაში 18 ათასზე მეტი ბავშვი და მოზარდი „გაქრა“. მარტო გერმანიაში მათი რაოდენობა 2018–2020 წლებში 700-ზე მეტია.

ამგვარი სიტუაციები განუსაზღვრელ შესაძლებლობებს იძლევა დანაშაულებრივი ქსელების შექმნისთვის — საუბარია არა მხოლოდ ყალბ რეგისტრაციაზე, არამედ ადამიანებით ვაჭრობასა და ჩამოსულების უკანონო ქმედებებზე, მათ შორის ექსტრემისტულ ორგანიზაციებში ჩართვაზე. ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რომ 2015 წლის მიგრაციულმა კრიზისისა და დევნილების უზარმაზარი ტალღის გამო გერმანიის საზოგადოებაში შიშმა იმატა. ეს განწყობა განსაკუთრებით იმ რეზონანსული შემთხვევების შემდეგ გაძლიერდა, რაც 2015 წლის ბოლოს ახლო აღმოსავლეთიდან ჩასულები კიოლნში ქალებს დაესხნენ თავს და გერმანიის სხვა რეგიონებში ამ ტიპის დანაშაულმა იმატა.

ამავე დროს, სტატისტიკური სააგენტოს Statista-ს მონაცემებით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძალიან იმატა მემარჯვენე რადიკალურმა განწყობებმა. ამგვარად, თუ 2015 წლისთვის გფრ-ის ტერიტორიაზე დარეგისტრირებული იყო ნაციონალისტური ორგანიზაციების 6,6 ათასი წევრი, 2019 წლისთვის მათი რიცხვი გაორმაგდა. ამასთან, სააგენტო აღრიცხავს მემარჯვენე რადიკალების რაოდენობის თანმიმდევრულ ზრდას.

გარდა ამისა, გერმანელები სულ უფრო ხშირად საუბრობენ ნეგატიურად აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ჩასული მიგრანტების შესახებ. ექსპერტების აზრით, ეს საზოგადოების პირდაპირი რეაქციაა ისლამელი ფუნდამენტალისტების მიერ 2016 წელს მიუნხენსა და ბერლინში განხორციელებულ ტერაქტებზე.

საშობაო ტერაქტმა, რომელიც 2016 წლის 19 დეკემბერს განხორციელდა ბერლინში, 12 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მათი ახლობლების ცხოვრება შეცვალა. ბევრი მათგანი წლების შემდეგაც ვერ შეეგუა მომხდარს.

ერთ-ერთი დაზარალებული კლოსტერსი გადარჩა, მაგრამ ტერაქტის შედეგად დედა დაკარგა. მისი თქმით, ყველაზე საწყენი ის არის, რომ თავდამსხმელები მისმა ქვეყანამ შეიფარა, მათ კი ასე გადაუხადეს მადლობა.

— გერმანიაში ათასობით კრიმინალი ჩამოდის, რომლებიც არც ჩვენს კულტურას სცემენ პატივს და არც ჩვენი ცხოვრების წესს და აშკარად ვძულვართ კიდეც. ეს სიძულვილი ძალიან სახიფათოა გერმანული საზოგადოებისთვის და მომავალში კიდევ უფრო მეტი პრობლემებია მოსალოდნელი, — ამბობს კლოსტერსი. — მთავრობამ სასწრაფო წესით უნდა გადახედოს საემიგრაციო პოლიტიკას და ქვეყანაში შემომსვლელთა რიცხვს თუ არ შეამცირებს, კარგად მაინც შეისწავლონ მათი ბიოგრაფიები და გერმანიის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილება შეუზღუდონ.

დღეისათვის არ არსებობს თავშესაფრის მთხოვნელთა ფსიქიკური ჯანმრთელობის შემოწმებისა და ქვეყანაში მათი გადაადგილების შეზღუდვის არანაირი მექანიზმი. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩვენთან ჩამოსვლა აფრიკიდან ან ახლო აღმოსავლეთიდან ყალბი საბუთებით და გერმანიაში შეუზღუდავი გადაადგილება.

კლოსტერსი აღნიშნავს, რომ საჭიროა არა დევნილების, არამედ ადგილობრივების უსაფრთხოების დაცვა.

ამგვარ შეხედულებებს იზიარებს პეტერსი, რომელიც ძაღლების მოშენებით არის დაკავებული: — ისინი, უპირატესად, ძლიერი ახალგაზრდები არიან და გერმანიას და ავსტრიას ისე უყურებენ, როგორც სწრაფად გამდიდრების საშუალებას გადასახადების გადამხდელების ხარჯზე, რაშიც მათ მოქმედი ფედერალური მთავრობა და ბრიუსელელი ჩინოვნიკები ეხმარებიან. უკვე ახლა ჩამოსულებს მეტი უფლებები აქვთ, ვიდრე გერმანელებს — მათ შეუძლიათ არ იმუშაონ, მიიღონ ხარისხიანი განათლება, ღირსეული ფულადი დახმარება და აქტიური მონაწილეობაც მიიღონ მათთვის უცხო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც კი.

ამასთან, მათ არაფერი ჰყოფნით და მზად არიან, გააკრიტიკონ ჩვენი ქვეყანა მათი უფლებების არასაკმარისი დაცვისა და იძულებითი ინტეგრაციის გამო. არსებული მდგომარეობა თუ სასწრაფოდ არ შეიცვალა, გარდაუვალი კატასტროფა გველის, — ასკვნის პეტერი.

შტუტგარდის მახლობლად მცხოვრები ბიზნესმენი ჰერმანიც დარწმუნებულია, რომ ემიგრაცია გერმანულ საზოგადოებას ანგრევს. მისი სიტყვებით, დევნილების სახით გერმანიაში ხშირად შედიან ტერორისტები და დამნაშავეები:

— ბედუინები უდაბნოში, ჯუნგლებში მცხოვრები ტომები, ესკიმოსები არქტიკაში, მეთევზეები სამხრეთის მდინარეებში და ტაიგაში მცხოვრები ბეწვეულზე მონადირეები მთელ ცხოვრებას ექსტრემალურ პირობებში ატარებენ, მაგრამ არც კი ფიქრობენ საკუთარი მიწების მიტოვებას. გერმანიამ მთლიანად უნდა გადახედოს თავის საგარეო პოლიტიკას და შიდა პრობლემებზე მოახდინოს კონცენტრირება.

ნახეთ, სადამდე მიგვიყვანა უკანასკნელი ხუთი წლის მიგრაციულმა პოლიტიკამ — ქვეყანაში რამდენიმე ათეული სს საქმეა აღძრული ტერორიზმში ბრალდებით, რეგიონულ სასამართლოებში დამნაშავეთა სკამზე სხედან „ისლამური სახელმწიფოს“ გადამბირებლები, სამხედრო დამნაშავეები, რომლებიც მართლმსაჯულებას გაექცნენ და სხვა ექსტრემისტები, რომლებსაც მთელი გულით სძულთ ჩვენი ქვეყანა.

### სიყვარული შორ მანძილზე

ბოლო წლებში ის ადამიანები, ვინც მემარჯვენე რადიკალური შეხედულებები აქვთ, უფრო ხშირად იკავებენ გერმანიაში ადმინისტრაციულ თანამდებობებს. მაგალითად, როგორც მეკლენბურგის მიწაზე მდებარე პოსტლოვის დასახლების სახანძრო სამსახურის უფროსი. ამგვარად, მათი ხმა სულ უფრო მძლავრად ისმის. მიუხედავად ამისა, მთლიანად გერმანული საზოგადოება რადიკალური შეხედულებებით არ გამოირჩევა — მართალია, ის (გერმანული საზოგადოება) ფრთხილობს, მაგრამ წინააღმდეგი სულაც არ არის, დაეხმაროს იმათ, ვისაც ეს ესაჭიროება. ამასთან, გერმანიის მოქალაქეები შესაბამის ორგანოებს ურჩევენ, რომ ეს უფრო დაკვირვებით მოხდეს.

მეწარმე მარლისი, რომელიც დიუსელდორფის გარეუბანში ცხოვრობს, თვლის, რომ ჩამოსულების მხრიდან დანაშაულის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, ევროკავშირს გამართული საემიგრაციო პოლიტიკა რომ ჰქონოდა:

— ეჭვგარეშეა, იმ რეგიონების მცხოვრებლებს, სადაც ბუნებრივი კატაკლიზმები, რევოლუციები და საომარი კონფლიქტები მოხდა, დახმარება სჭირდებათ, მაგრამ მათ საკუთარ ქვეყნებში უნდა დაეხმარონ. დევნილების განთავსება მრავალრიცხოვან კარვების ქალაქებში, სახლიდან მოშორებით, მიმღები ქვეყნების ჩინოვნიკებში კორუფციის გაჩენას უწყობს ხელს და არსებული პრობლემების აღმოფხვრას უშლის ხელს.

მარლისი თვლის, რომ ბრიუსელმა დახმარებისთვის უნდა მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინსტიტუტებსა და დამოუკიდებელ საქველმოქმედო ფონდებს. მათი დახმარებით კი შესაძლებელი გახდება დაზარალებულ ქვეყნებში ჰუმანიტარული კატასტროფის შედეგების სალიკვიდაციო მექანიზმების შემუშავება და განსაცდელში მყოფი ადამიანებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა.

პენსიონერი ალფრედი კი, ბავარიის სოფელ ემერინგიდან, დარწმუნებულია, რომ მამაკაცებმა საკუთარი სამშობლო არ უნდა მიატოვონ ქვეყნისთვის რთულ დროს. ამასთან, გერმანიამ და ევროკავშირმა პირველ რიგში საკუთარი პრობლემები უნდა გადაჭრან — ბერლინმა ჩამომსვლელებზე კვოტები უნდა დააწესოს და შეზღუდოს მათი იქ ყოფნის ვადები. ალფრედის აზრით, გამონაკლისი





მხოლოდ მაღალკალიფიციურ სპეციალისტები უნდა იყვნენ.

მისივე თქმით, დროებითი თავშესაფარი და საკვები მხოლოდ ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს უნდა მისცენ, მამაკაცები კი თავიანთ ქვეყნებში უნდა დარჩნენ და იქაური პრობლემები მოაგვარონ.

მხატვარი და ბაიკერი ოლაფი ბრანდერბურგის სოფელ ვენცლოვიდან, თვლის, რომ ემიგრაცია სახელმწიფოზე როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას ახდენს. მისი თქმით, გერმანიის მთავრობამ უნდა გადასინჯოს დევნილების მიმართ საკუთარი პოლიტიკა.

— მე გდრ-ში დავიბადე და გავიზარდე. საბჭოთა ავიაბაზაზე ვმსახურობდი. სხვაობას დასავლეთელ და აღმოსავლეთელ ევროპელებს შორის ვერ ვხედავ. ისინი სიამოვნებით სწავლობენ გერმანულს და ჩვენი საზოგადოების ნაწილი ხდებიან, მიუხედავად ამისა, სრულად ინტეგრირებას ვერასოდეს ახერხებენ და დიდი სურვილის მიუხედავად, გერმანელები ვერასდეოს გახდებიან.

დევნილებთან კი სხვანაირი სიტუაციაა: ისინი ძალიან განსხვავდებიან ჩვენგან აზროვნებით, რელიგიით და რწმენის მიმართ დამოკიდებულებით. ეს ადამიანები უცხო და სახიფათონი არიან გერმანული და ევროპული ცხოვრების წესისთვის, შესაბამისად, მათი მიგრაცია უნდა შეიზღუდოს.

### ძველი პრობლემები ახალი კანცლერისთვის

მიგრანტების და თავშესაფრის მთხოვნელთა მიმართ დამოკიდებულებამ ბოლო წლებში გერმანული საზოგადოება ორად გაყო. კანცლერი ანგელა მერკელი 2015 წლიდან დევნილებისთვის ფარი იყო, თუმცა ახლა უკვე მისი დამოკიდებულება შეიცვალა. ამიტომ, მთავრობის ხელმძღვანელის არჩევნებამდე, რომელიც 2021 წლის შემოდგომაზე ჩატარდება, ამ საკითხის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების მქონე გერმანელების ხმები განსხვავებული პოლიტიკური ძალებისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი იქნება. ხმებისთვის ბრძოლა უკვე დაიწყო.

იმ დროს, როცა გერმანიის მცხოვრებთა უმრავლესობა მეტნაკლებად დადებითად უყურებს თავად უცხოელებს, მთლიანად ფედერალური მთავრობის მიგრაციული კურსის მხარდამჭერთა რაოდენობა თანდათან მცირდება. ეს ტენდენცია, ეჭვგარეშეა, პროსამთავრობო კოალიციის პოლულარობის შემცირებასა და ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვას გამოიწვევს, რომელიც ჯერჯერობით ლიდერ პოზიციაზე მყოფ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის კონსერვატორულ ბლოკს უჭერს მხარს, ხოლო მერკელის გარდაუვალი გადადგომის გამო, ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს მოუწევს, ხმების ნაწილი თავის მოკავშირეებსა და ოპოზიციურ ძალებს დაუთმოს.

მიგრანტებისა და დევნილების მიღების საკითხი მთავრობის მეთაურის არჩევნებზე მთავარი, ალბათ, არ იქნება, მაგრამ კანდიდატებს პრობლემებს შეუქმნის. ამგვარად, არმინ ლაშეტი, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა და ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა წარადგინეს, ადრე მტკიცედ უჭერდა მხარს მერკელის გადაწყვეტილებას დევნილებისთვის გერმანიის საზღვრების გახსნის შესახებ, ახლა კი ამგვარმა პოზიციამ და მთავრობის მიმართ ხალხის უკმაყოფილებამ პანდემიასთან არაეფექტიანი ბრძოლის გამო, შეიძლება მისი რეიტინგი მნიშვნელოვნად შეარყიოს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22




# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**— მსურს, დისშვილთან გავაფორმო სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება. გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.**

— თქვენთვის საინტერესო საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28 თავით, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

— მუხლი 941. ცნება

პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

მუხლი 942. ხელშეკრულების ფორმა

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 943. სარჩოს ოდენობა

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 944. სარჩოს გადახდის ვადები

სარჩოს გადახდის ვადები დგინდება მისი ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 945. გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა

1. სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია.

2. როცა სარჩენი მარჩენალს გადასცემს უძრავ ქონებას, მაშინ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მას აქვს იპოთეკის უფლება ამ ქონებაზე.

მუხლი 946. შედავება სარჩოს გადახდის გამო

სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს.

მუხლი 947. ნატურალური სარჩოს გადახდა

ნატურალური სარჩოს გადახდის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულით.

მუხლი 948. გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი

მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვა ან დაზიანება არ ათავისუფლებს მას სარჩოს გადახდისაგან.

მუხლი 949. უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე

1. როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

2. გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ უნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 950. მარჩენალის გარდაცვალების შედეგები

1. მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

2. მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქონება უბრუნდება სარჩენს. ამ დროს ხელშეკრულება წყდება.

* * *

**— ყველაფერი მაინტერესებს განქორწინების რეგისტრაციის შესახებ.**

განქორწინების რეგისტრაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

1.იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;

2.სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს;

3.საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობას;

მეუღლეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციისთვის, უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტებია:

განსაქორწინებელ პირთა ერთობლივი წერილობითი განცხადება;

განსაქორწინებელ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ქორწინების მოწმობა;

ერთ-ერთი მეუღლის მიერ განქორწინების რეგისტრაციის თაობაზე წარდგენილ განცხადებას, საფუძვლის გათვალისწინებით, ასევე უნდა დაერთოს ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დოკუმენტი:

განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

მეორე მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

მეორე მეუღლის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (თუ აღნიშნული პირი 2015 წლის 1 აპრილამდე ცნობილია ქმედუუნარო პირად);

მეორე მეუღლისათვის არანაკლებ 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი;

შენიშვნა: თუ განცხადებას წარადგენს განქორწინების მსურველი პირის წარმომადგენელი, აღნიშნულ დოკუმენტებს ასევე უნდა დაერთოს წარმომადგენლის პირადობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი:

ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები უფლებამოსილ ორგანოებს უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარმოდგენა აუცილებელი არ არის, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

ასევე აუცილებელია, სხვა სახელმწიფოში გაცემული (დამოწმებული) დოკუმენტები (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა) წარდგენილი იქნას სათანადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამოწმების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ თარგმანთან ერთად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

განქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს წარმომადგენლის საშუალებით, შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა;

მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის გასვლისთანავე.

განქორწინების რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემისათვის მომსახურების საფასური წარმოადგენს 45 ლარს.

განქორწინების რეგისტრაციისთვის დადგენილი საფასურის გადახდისგან თავისუფლდებიან:

იძულებით გადაადგილებული, დევნილად ცნობილი პირები – სრულად;

სტუდენტები, რომლებზეც გაცემულია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა აღნიშვნით „სტუდენტი“ – 10% -იანი შეღავათით.

# ალფრედ დიდი – მაგი, ჯადოქარი, წინასწარმეტყველი

შუა საუკუნეებში მოღვაწე გერმანელი ბუნებისმეტყველი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, ალქიმიკოსი და ასტროლოგი ალბერტ ფონ ბოლდშტედი ცნობილი იყო ალბერტ დიდის სახელით. ის უცნაური ბიოგრაფიის, იდუმალი დომინიკანელი ბერი გახლდათ. მას მიაწერდნენ " გოლემის " (ხელოვნური ადამიანის, "გოლუნკულუსის ") შექმნას. მისი მოწაფე, თომა აქვინელი, მას შემდეგ გაექცა მასწავლებელს, რაც ერთხელ ალბერტ დიდის კაბინეტში მდგარმა თოჯინამ უცებ ხელი გაუწოდა თომასს და ადამიანური ხმით დაელაპარაკა. ალბერტ დიდმა ბევრი შესანიშავი აღმოჩენა გააკეთა. მათ შორის აღსანიშნავია ლოგარითმის გამოგონება. კიბერნეტიკის მამა, ნორბერტ ვინერი, მას კიბერნეტიკის ფუძემდებლად მიიჩნევდა. ალბერტ დიდის წიგნმა" ორაკულები" ჩვენამდე მოაღწია, მას მეცამეტე საუკუნის ყველაზე ცნობილ ალქიმიკოსად რაცხავენ. ის ლექციებს



კითხულობდა ბავარიისა და საფრანგეთის წამყვან უნივერსიტეტებში. მისი ლექციები ტრიუმფით მიმდინარეობდა. აუდიტორიაში ადგილები არ ჰყოფნიდათ სტუდენტებს დასასწრებად. იმის გამო, რომ უნივერსიტეტში დიდი დარბაზი არ აღმოჩნდა, ალბერტი ლექციებს ატარებდა ღია ცის ქვეშ, მოედანზე. ალქიმიითა და ასტროლოგიით გატაცებამ მას სიცოცხლეში მაგისა და ჯადოქრის სახელი მოუპოვა, რომელსაც შეეძლო გაეკეთებინა ის, რაც შეუძლებელი იყო სხვებისთვის. ერთი მხრივ ამტკიცებდა, რომ თითეული ცალკე სახის ლითონი შეუძლებელია გარდაიქმნას სხვა ლითონად. ფერის შეცვლა და სხვა თვისებების შეცვლა არის მხოლოდ გარეგნული მხარე, ლითონის შინაგანი თვისებების შეცვლა შეუძლებელია. მეორე მხრივ, მეცნიერი თვლიდა, რომ ტრანსმუტაცია მაინც შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის საჭიროა ლითონის მთლიანად შეცვლა, მისი თვისებების მოსპობა, შემდეგ მისი ხელახლა შექმნა ახალი თვისებების მინიჭებით, რომ ასეთი ხერხით შეიძლება ოქროს მიღებაც. გადმოცემით, ლოცვისას მას წმინდა მარიამი გამოეცხადა და ჰკითხა მეცნიერების რომელ დარგს ანიჭებდა უპირატესობას. ალბერტს წარმატების მიღწევა ძალიან სურდა ფილოსოფიაში. ღვთისმშობელი დაპირდა დახმარებოდა გამხდარიყო დიდი ფილოსოფოსი, მაგრამ ამავე დროს გაოცება გამოთქვა, რომ მას არ სურდა თეოლოგობა. ამის გამო, მარიამმა მიანიშნა, რომ სასჯელის სახით ალბერტს სიკვდილის წინ დაუბრუნდებოდა უწინდელი გონებრივი სისუსტე. ამ ლეგენდამ ფართო გავრცელება ჰპოვა იმ დროს, როცა ალბერტი დიდების ზენიტში იყო. 1278 წელს რეჰენსბურგის უნივერსიტეტში ლექციის კითხვის დროს ინსულტი დაემართა, რაც მისი მოხუცებულობის დემენციის მიზეზად იქცა. დიდმა მეცნიერმა მთლიანად დაკარგა მეხსიერება და ძალისხმევის გამოვლენის მცირე უნარიც კი. თანამედროვე ფსიქიატრთა აზრით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ალბერტ დიდს ალცჰაიმერის სინდრომი აწუხებდა. ალბერტმა 87 წლამდე იცოცხლა. იმ დროისთვის ამ ასაკმდე სიცოცხლის ხანგრძლიობა ძალზედ იშვიათი იყო, რამაც მეცამეტე საუკუნის მეცნიერებს მისცა საბაბი ეთქვათ, რომ დიდი გერმანელი ფლობდა ფილოსოფიურ ქვას. ალბერტი აქტიურად იყო დაინტერესებული ოკულტური მეცნიერებებითა და ალქიმიით. ალბერტ დიდის მრავალრიცხოვან მოსწავლეებს შორის იყო თავად თომა აქვინელი, რომელიც მოგვიანებით დიდი ფილოსოფოსი და თეოლოგი გახდა. ერთ-ერთ გვიანდელ ნაწარმოებში აქვინელი ამტკიცებდა, რომ შეესწრო მის თვალწინ როგორ აქცია ალბერტ დიდმა ვერცხლისწყალი ოქროდ. დამსწრე მოსწავლეებმა სცადეს იგივე, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ამავე დროს, თომა აქვინელი ვარაუდობდა, რომ ალბერტ დიდმა ფილოსოფიური ქვის დახმარებით შეძლო ჰომონკულუსის-ხელოვნური ადამიანის შექმნა, მაგრამ ეკლესიის დაჟინებული მოთხოვნით მეცნიერი იძულებული გახდა გაენადგურებინა თავისი შემოქმედების უნიკალური ნაყოფი. სიცოცხლის ბოლო წლებში ალბერტთან იმყოფებოდა გრეგორ მობერი, რომელიც ასრულებდა მდივნის, მოსამსახურის ფუნქციას. და როგორც ამბობდნენ, ჯაშუშობდა ვატიკანის სასარგებლოდ. გვიანდელი მკვლევარები სწორედ მის სახელს უკავშირებენ ალბერტ დიდის ლაბორატორიის გაქრობას, სადაც სხვა მნიშვნელოვან ნივთებთან ერთად შესაძლოა იყო ფილოსოფიური ქვაც. ოცი წლის ასაკში ბერად აღიკვეცა და დომინიკანლეთა ორდენის წევრი გახდა, ამავე დროს შეძლო გამხდარიყო დიდი მკველავრი და გამომგონებელი. მისმა აღმოჩენებმა დიდი ხნით გაასწრო დროს, ხოლო მისი ხელით შექმნილი საიდუმლოებით მოცული ნივთები აოცებდა თანამედროვე თ. შემონახულია მოგონებები ალბერტის მიერ ოქროსგან შექმნილი ჩიტზე, რომელიც გალობდა და ტოტიდან ტოტზე დაფრინავდა. ბოჰემის მეფე ალბერტ დიდს ამ ჩიტში ზღაპრულ თანხას თავაზობდა, მაგრამ მეცნიერმა უარი თქვა თავის შემოქმედების ნაყოფთან განშორებაზე. ალბერტ დიდის სახელს უკავშირდება გასაკუთრებული ამწე მექანიზმის გამოგონებაც ვერცხლის სამეფო საბადოებისთვის ბავარიაში. მექანიზმის მოქმედებაში მოსაყვანად არ იყო საჭირო იმ დროისთვის ტრადიციული ფიზიკური ძალა ადამიანისა და ცხენისა. არსებობს მონაცემები, რომ მეცნიერმა ააგო გიგანტური სათბური უცნობი მასალისგან და შექმნა ხელოვნური ბაღი, სადაც ყველა პროცესი იმართებოდა უცნობი ძალი თ. ამის მტკიცებულებები აღმოჩნდა ზოგიერთ ისტორიულ დოკუმენტში. კერძოდ, ამ დოკუმენტებში საუბარია იმაზე, რომ მონასტრის ასაგებად ალბერტ დიდმა გადაწყვიტა ეყიდა მიწის ნაკვეთი, რომელიც ჰოლანდიის მეფე ვილჰელმ II-ს ეკუთვნოდა. გვირგვინოსანმა უარი უთხრა მეცნიერს გარიგებაზე. კელნის დომინიკანელთა მონასტერში მეფის ვიზიტის დროს, ალბერტმა მიიპატიჟა მეფე მისთვის გამართულ საზეიმო სუფრაზე. ვინაიდან ზამთარი იყო, მეფეს გაუკვირდა, რომ სუფრა გარეთ იყო გაშლილი ღია ცის ქვეშ. როგორც კი მეფე და მისი ამალა სუფრას მიუსხდა, ცა მოიწმინდა და მზემ გამოანათა. რამდენიმე წუთში ყველას თვალწინ დადნა თოვლი, მინდორში ყვავილები გამოჩნდა, ხეები გაიკვირტა. გაოცებული მეფე გარიგებას დათანხმდა. როგორც კი საზეიმო სუფრა დასრულდა, კვლავ ზამთარი დაბრუნდა, მოთოვა, დაჭკნა ყვავილები. როგორც თავად ალბერტ დიდი ამტკიცებდა, ძილში და ცხადში მას ხშირად ევლინებოდა ქალწული მარიამი



და ანგელოზები. ისინი მას კარნახობდნენ იდეებს ახალი აღმოჩენებისთვის, დისკუსიას აწარმოებდნენ მასთან და მომავლის ფარდასაც კი ხსნიდნენ. წიგნში "ორაკულები" ალბერტ დიდმა მნიშვნელოვანი მოვლენები იწინასწარმეტყველა, რომელიც მოიცავდა მსოფლიოს ათასწლოვან ისტორიას. ნოსტრადამუსის "ცენტურიებისგან" განსხვავებით, სადაც წინასწარმეტყველებები ბუნდოვანი ფორმითაა გადმოცემული, ალბერტის წინასწარმეტყველება ატარებს კონკრეტულ ხასიათს. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ადამიანები აღმოაჩენენ დიდ სანაპიროს ჰერაკლეს სვეტებისგან შორს. ახალ აღმოჩენილ მიწაზე დასახლდება ჩრდილოეთის ხალხი, რომელიც მას აქცევს დიდ სახელმწიფოდ. "ორაკულებში" ალბერტ დიდი ამტკიცებს, რომ მოვა დრო და გაჩნდება მოსიარულე მანქანა, რომელშიც ჩასხდება ხალხი, მაგრამ დროთა განმავლობაში მიაგდებს მათ როგორც გამოუსადეგარ საბავშვო სათამაშოებს. ადამიანი სხვა პლანეტებსა და სამყაროებში დაიწყებს ფრენას. ალბერტ დიდის სიტყვებით მთვარეზე გაფრენა მისი გარდაცვალებიდან 700–800 წლის შემდეგ განხორციელდებოდა, ხოლო ამ მოვლენიდან 1000 წლის შემდეგ, ანგელოზები დაეშვებიან ციდან, როგორც უხსოვარ დროს ხდებოდა. მეცნიერის აზრით, იმ დროისთვის ძალიან მძიმე დრო დაუდგება კაცობრიობას. თავად ეშმაკი შეუძვრება სულში და ადამიანი ილოცებს არა ღვთის სახელზე, არამედ ეშმაკზე. მსოფლიო გაიყოფა სამ დიდ სახელმწიფოდ. მათ შორის დიდი დაპირისპირება იქნება, რომელიც შემდეგ შესაძლოა სისხლისღვრაში გადაიზარდოს. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც უზარმაზარი უძველესი კუნძული ამოიწვერება ჰერაკლეს სვეტებს იქით, დედამიწაზე საბოლოოდ დაისადგურებს მშვიდობა. ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში წინასწარმეტყველებდნენ, რომ ატლანტიდის აღორძინებით კაცობრიობას ელოდება სრულიად ახალი ერა.-ავადმყოფობების, სიკვდილისა და ბუნებრივი კატაკლიზმების გარეშე. ამ აყვავების ხანას ტანჯვის გავლის შემდეგ მიაღწევენ ადამიანები, რასაც ალბერტ დიდის სიტყვებიც ადასტურებს. ალბერტ დიდმა აღმოაჩინა კაუსტიკური სოდის მიღების ხერხი. იმდენად გაუსწრო თავის დროებას, რომ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მიაწერეს ამ ადამიანს ისეთი რობოტის შექმნაც კი, რაზეც დღეს მუშაობენ თანამედროვე ინჟინრები და მეცნიერები. ალბერტ დიდმა დატოვა უზარმაზარი ხელნაწერი მემკვიდრეობა ისეთ დარგებში როგორიცაა: ლოგიკა, ბოტანიკა, გეოგრაფია, ასტრონომია, მინერალოგია, ზოოლოგია, ფსიქოლოგია, ქიმია. მისი ნაშრომები მოიცავს 38 ტომს.1260 წელს ალბერტი დაინიშნა რეჰენსბურგის ეპისკოპოსად, მაგრამ მან ამ თანამდებობაზე მხოლოდ ორი წელი გაატარა, ვინაიდან არ უყვარდა ოფიციალური თანამდებობები. 1280 წელს ალბერტ დიდი გარდაიცვალა. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მე-20 საუკუნეში ის წმინდანად შერაცხა. შუა საუკუნეების მეცნიერის ნაშრომები მრავალი წლის განმავლობაში იქცა სამაგიდო წიგნად დასავლეთ ევროპის ბევრი განმანათლებლისთვის. იგი დაკრძალულია კელნში, წმ.ანდრიას სახელობის ტაძარში. სწორედ იქ დგას მისი სარკოფაგი. მეორე მსოფლიო ომის დროს, დაბომბვისას თითქმის ყველა ტაძარი დაინგრა, გადარჩა მხოლოდ წმ. ანდრიას სახელობის ეკლესია.



**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

„საერთო გაზეთის" მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი". კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი"
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
http://www.saertogazeti.ge E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი"-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99